

ISSN 1512-1593

**გელათის მეცნიერებათა
აკადემიის ჟურნალი**



**JOURNAL
OF GELATI ACADEMY
OF SCIENCES**

2

2025

ჟურნალი გამოდის უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ილია II-ის

კურთხევითა და ფინანსური ხელშეწყობით

გამოდის 2002 წლის
სექტემბრიდან

ჟურნალის დამაარსებელი **მაგალი თოდუა**

მთავარი რედაქტორი
ავთანდილ ნიკოლეიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ეკა დადიანი

რედაქტორი
ბელა სურგულაძე

სწავლული მდივანი
თაბარ ლაკვიშვილი

ქუთაისი - 2025

ყდაზე - ოშკის მონასტერი (X საუკუნე)
(<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%99>)

პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლე

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის
წევრთ, მკვიდრთ ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს
გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ:

ქრისტე აღდგა!

აღდგეს ღმერთი, მიმოიფანტონ მისი მტრები და მისი
მომკლენი ივლტოდნენ პირისგან მისისა; და როგორც
ქრება კვამლი, – განქარდნენ... მართლები კი განიხარებენ
და იზეიმებენ ღმერთის წინაშე და სიხარულით დატკბებიან
(ფს. 67. 2-3).

როგორი დიდი ნუგეშია წმ. დავით მეფის ამ
წინასწარმეტყველურ სიტყვებში! როგორი იმედიტა და
სულიერი სიხარულით გადაეცემოდა თაობიდან თაობას
ბოროტებაზე გამარჯვების ეს საგალობელი. დიადი ჟამის
აღსრულებას კი უკვე თითქმის 2000 წელია გამორჩეულად
აღნიშნავს კაცობრიობა; ჩვენც დღეს ამ ზეიმის მონაწილენი
ვართ.

კიდევ ერთხელ მინდა მოკლედ შეგახსენოთ, თუ
როგორია გზა სამოთხიდან, მიწიერი ყოფის გავლით, ცათა
სასუფეველამდე.

წმინდა წერილიდან ვიცით, რომ ღმერთმა ხილულ
სამყაროში თავის ხატად მხოლოდ ადამიანი შექმნა
და დაადგინა სხვა ქმნილებათა განმგებლად; მისცა
თავისუფლება და ედემის ბაღის პატრონობა დაავალა; იგი
უნდა ყოფილიყო ამ ბაღის და ცნობადისა და სიცოცხლის

ხეთა ბრძენი მცველი; დანარჩენი ქმნილებები კი მას უნდა დამორჩილებოდნენ. ამით შემოქმედმა განსაკუთრებული პატივი მიაგო ადამიანს და არჩევანი ბოროტებასა და სიკეთეს, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის მის ნებას მიანდო.

ჩვენს პირველმშობელთა მიმართ ამგვარი ამაღლებული დამოკიდებულების გამო შურით აღძრულმა ბოროტმა სულმა აცდუნა ისინი და განაშორა ღვთის დიდებას; ქვეყნიერება კი დარჩა უფლისგან დადგენილი მზრუნველის გარეშე.

ბოროტი ძალა მხოლოდ ადამისა და ევას შეცდენით არ დაკმაყოფილებულა; ათასგვარი ხერხით იგი დღემდე ცდილობს, თავისკენ გადაიბიროს კაცობრიობა და საბოლოოდ აღხოცოს მასში ღვთის ხატება.

მაგრამ ადამიანი ცოდვამ და სიკვდილმა ბოლომდე მაინც ვერ დასცა. ყოვლადმღიერი, ცოცხალი, კურთხეული, უხილავი ღმერთის (როგორც ძველ აღთქმაში ხშირად იხსენიება შემოქმედი) რწმენა განსაკუთრებით დიდი იყო რჩეულ ერში; მძიმე და დამაბუნებულ მდგომარეობაშიც კი, ამ წიაღში საუკუნეთა მანძილზე ჩნდებოდნენ ღვთისსათნო და რჩეული პიროვნებები, რომლებიც ზეცისკენ მიმავალ გზას უჩვენებდნენ ხალხს.

ისინი იმ იმედით იყვნენ აღვსილნი, რომ შემოქმედი არ დაუშვებდა მუდმივ დასჯილობაში ცხოვრებასა და სიკვდილს და დაგვიბრუნებდა დასაბამისეულ პატივს.

ამიტომაც, გულდასმით იძიებდნენ სამოთხისეული მდგომარეობის დაკარგვის მიზეზებს და საზოგადოებაში მარადიული ღირებულებების განმტკიცებისთვის ძალისხმევას არ იშურებდნენ; ამასთან, ღვთისსათნო ცხოვრების მაგალითს, პირველ რიგში, თვითონ იძლეოდნენ.

* * *

მაცხოვარმა დედამიწაზე იმ წყევლის ქვეშ იცხოვრა, რაც ადამის მოდგმამ ცოდვის გამო დაიმსახურა. თავად ყოვლად უცოდველმა იტვირთა უბრალო ადამიანის ყოფა, დაიბადა რა ხუროს ოჯახში, რომელიც ყოველდღიური შრომით მოიპოვებდა სარჩოს. ამასთან, განკაცებული უფალი თავისი

ნებით ითმენდა ტკივილს, შიმშილს, დაღლას... შემდეგ კი – უმადურობას, სიცრუეს, ცილისწამებას, შეურაცხყოფას, ღალატს...

როგორი წარმოდგენელია, რომ ღმერთი შენს გვერდით, შენი ცხოვრებით ცხოვრობს; უცოდველი ცოდვილთა შორის ჩვენს მძიმე ხვედრს ტვირთულობს, რათა მოგვცეს მაგალითი რწმენის, სიწმინდის, დათმენის, სიკეთის, სიყვარულის... და რეალურად დაგვანახოს, როგორი უნდა იყოს ადამიანი.

30 წლის იესო უცხადებს კაცობრიობას, რომ აღსრულდა საუკუნეთა მოლოდინი, განკაცდა მხსნელი, რათა შემოქმედი დაეხმაროს თავის ქმნილებას და ჩვენთვის ყოველი კეთილი შესაძლებელი გახადოს.

ამასთან, ხილული სასწაულებით უფალი მრავალგზის ამოწმებს, რომ აქვს ძალმოსილება, განკურნოს ნებისმიერი უძლურება და სნეულება, გაათავისუფლოს ადამიანები ბოროტი სულებისგან, აზიაროს ისინი ღვთის სიბრძნეს; რომ მხოლოდ მას შესწევს ძალა, დაამყაროს მშვიდობა, დაამარცხოს თვით სიკვდილი და აღადგინოს მკვდრები... მაგრამ ღვთის რჩეული ერის დიდი ნაწილი და მისი სულიერი წინამძღოლნი საბოლოოდ მაინც უგრძნობნი დარჩნენ უფლის მოწოდების მიმართ, ზურგი აქციეს ცხოვრების წინამძღვარს და მისი დასჯა მოითხოვეს.

იგივე მოხდა ყველაზე ძლიერ და, ფაქტობრივად, იმ დროის ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოშიც – რომის იმპერიაში, რომლის ნაწილსაც ისრაელი მაშინ წარმოადგენდა. რომმა ღვთის სიბრძნეს და სამართალს თავისი იურიდიული კანონები შეაგება. აქციესად ჰქონდათ: იმათგან, რომელნიც არ იყვნენ რომის მოქალაქენი, თუკი ვინმე იმპერიულ ღირებულებებთან და მისწრაფებებთან შეუთავსებელი იქნებოდა, თუნდაც იგი ჰქმმარიტების მქადაგებელი ყოფილიყო, ყველაზე დამამცირებელ სასჯელს უქვემდებარებდნენ – ჯვარზე აკრავდნენ. ჯვარი წარმოადგენდა სიმბოლურ სახეს იმისას, რაც სიბნელეს, უმეცრებას, ბოროტებას უკავშირდებოდა და, მათი აზრით, სიკეთისა და ცივილიზაციის მტრობას ნიშნავდა.

საერთო შედეგი კი ასეთი დადგა: ცოდვას დამონებულმა და სიკვდილს შეგუებულმა კაცობრიობამ ღმერთის მეუფებას თავისი ჩვეული ყოფა ამჯობინა, ჭეშმარიტ სიმართლეს სრულიად უსამართლო განაჩენი გამოუტანა და თავად სიცოცხლეს ჯვარზე სამარცხვინო სიკვდილი მიუსაჯა.

ამაზე დიდი დაცემა აღარ არსებობს! ამაზე დიდი ცოდვის წარმოდგენა შეუძლებელია!

მაშინ ზეციური ძალები შემრწუნდნენ, ანგელოზები განცვიფრდნენ, სტიქიონები შეირყა, მთელი ქმნილება შეიძრა, მზე განერიდა, ქვეყანა სიბნელემ მოიცვა, კრეტსაბმელი განიპო, ანგელოზმა ტაძარი დატოვა... (წმ. კირილე ალექსანდრიელი).

მაგრამ როგორ უპასუხა უფალმა ამ ენით აუწერელ დანაშაულს?

გამაოგნებლად! მიუთხრობელი დათმენით, სიბრალულობითა და სიყვარულით.

მან მორჩილად და უდრტვინველად მიიღო განაჩენი და არ შეეწინააღმდეგა; არ გამოიყენა ღვთიური ძალა და არ გასცდა ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებს, რათა მთავარი მიზანი ბოლომდე აღესრულებინა, – თავისი ყოვლადუცოდველი კაცობრივი სულის ღმრთეებრივი ძალმოსილებით ჯოჯოხეთი დაეთრგუნა და სიკვდილი შეემუსრა, ბოროტი ძალისთვის გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა და მართალთათვის ცათა სასუფეველის გზა გაეკვალა.

* * *

გავიხსენოთ ისიც, რომ ჯვარცმის წინ უფალი გულმხურვალედ ლოცულობდა გეთსიმანიის ბაღში და, ცხადყოფდა რა თავის ადამიანურ ბუნებას, ევედრებოდა მამა-ღმერთს, თუ შესაძლებელი იყო, აეცილებინა მისთვის მოსალოდნელი ხვედრი.

ამავე დროს, იგი სთხოვდა თავის ერთგულ სამ მოწაფეს, ლოცვით შესწეოდნენ, რადგან მისი სული დამძიმებული იყო სიკვდილის მოლოდინით; მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს, – ადამიანური უძლურებით ჩაეძინათ.

სამგზის სცადა მათი სიფხიზლის შენარჩუნება უფალმა, მაგრამ ამაოდ, რითაც დედამიწამ აჩვენა, რომ რჩეულ მოწაფეთაც იმჟამად არ ქონდათ შინაგანი ძალა, უმძიმეს განსაცდელში მაცხოვრისთვის მცირედი თანადგომა გაეწიათ.

* * *

უფლის ჯვარცმით კაცობრიობამ განაჩენი არა მარტო იესო ქრისტეს გამოუტანა, არამედ საკუთარ თავსაც, რადგან ამიერიდან ქრისტეს მიმდევართათვის ხსნა სულიერ ჯვარცმას დაუკავშირდა.

რა თქმა უნდა, მძიმეა ეს გზა, ეს ჯვარი, მაგრამ, ამასთან, მაღლმოსილია იგი და მიმზიდველი, ერთადერთია და გადამრჩენელი; ამიტომაც ჰყავს ქრისტეს ეკლესიას ჩვენთვის ცნობილი თუ უცნობი ამდენი წმინდანი და ერთგული შვილი.

როდესაც ჩვენი მიწიერი ყოფა შენც უსამართლოდ დაგამცირებს, შეურაცხყოფს და გაგრიყავს, რადგან ჭეშმარიტებას ეძიებ და უარს ამბობ ცოდვილ კეთილდღეობაზე, იცოდე, ამით სოფელი აცხადებს, რომ შენ მისი არ ხარ; ეს კი ნიშნავს იმას, რომ შენ უფლისა ხარ; ანუ იმ ჯვრის მტვირთველი ხარ, რომელიც ქრისტეს მიმდევართათვის იქცა სამართლიანობის, ერთგულების, ღირსების, სიკეთის, ჭეშმარიტების ხატად და მარადიული სიცოცხლის ნიშნად.

მაცხოვარი გვიხმობს ყველას და განგვამტკიცებს: „განსაცდელი გექნებათ ამქვეყნად, მაგრამ გამხნევდით, მე ვძლიე სოფელს“ (ინ.16,33) და „თქვენთანა ვარ, დღემუდამ, ვიდრე აღსასრულამდე ქვეყნისა“ (მთ.28,20)... „დაიცავით ჩემი მცნებები და რასაც ითხოვთ ჩემი სახელით, შეგისრულდებათ“ (ინ.14;15,13), ოღონდ როგორც „მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე თქვენც გიყვარდეთ ერთმანეთი“ (ინ.13,34).

* * *

დღეს მსოფლიოში მრავალგვარი რთული პროცესი მიმდინარეობს; დროც თითქოს დაჩქარდა; მოვლენებიც და შეხედულებებიც სწრაფად იცვლება; დაპირისპირებულობა,

არასტაბილურობა, ეკოლოგიური პრობლემები, მუდმივი სტრესი, ომები... ჩვენს საერთო რეალობად იქცა. მშვიდობის მოსურნეთა მონდომება დიდია, თუმცა შედეგის მიღწევა იოლად არ ხდება...

ღმერთმა დალოცოს მშვიდობისმყოფელნი, ღმერთმა მშვიდობით აკურთხოს მსოფლიო!

არსებულმა ვითარებამ ყველა უფრო მეტად უნდა დააფიქროს სიცოცხლის არსზე და მარადიულ ღირებულებებზე.

ჩვენ მარადიული ნეტარებისთვის ვართ შექმნილნი; აქ, ამქვეყნიურ ყოფაში, კი დროებითის და წარუვალის, მიწის და ზეცის კავშირით უნდა ვიცხოვროთ, მაგრამ სწრაფვა მარადიულობასთან სიახლოვისკენ მუდამ უნდა გვქონდეს, რაც პირველ რიგში ეკლესიის საშუალებით მიიღწევა.

მხოლოდ ეკლესია გვიცხადებს სიცოცხლის ნამდვილ მიზანს, გვახედებს ჩვენს სულში და სიკეთისა და ბოროტების გარჩევის ყველაზე ჭეშმარიტ და სწორ შესაძლებლობას გვთავაზობს. ის არ გვთხოვს შეუძლებელს; პირიქით, გვიხმობს ჩვენი სისუსტეებით და მათ დასაძლევად ძალას გვაძლევს. ის გულში გვიკრავს, მაგრამ უკეთურ ქმედებას არ მოგვიწონებს. ამასთან, ჩვენს სულიერ და შინაგან ძალებს განამტკიცებს და ყველაზე რთულ ვითარებაშიც იმედს არ გვაკარგვინებს.

საეკლესიო დღესასწაულთა შორის ყველაზე გამორჩეული ადგილი აღდგომას აქვს, რადგან სწორედ იგია წინასახე ზეციურ უხრწნელებაში ჩვენთვის მარადიული სიცოცხლის მონიჭებისა.

რას ნიშნავს ეს?

როდესაც ჩვენ ვზეიმიობთ უფლის აღდგომას, ამავე დროს, ვდღესასწაულობთ უხრწნელი სხეულით ჩვენს მომავალ დამკვიდრებას ცათა შინა. იესო ქრისტემ მოგვცა მაგალითი როგორც ამქვეყნად სწორად ცხოვრებისა, ისე გვიჩვენა მისი შედეგიც, – სასუფეველში მართალთა დამკვიდრებისა.

„ვინაიდან კაცის მიერ იქმნა სიკვდილი, და კაცის მიერვე აღდგომა მკვდრეთით და როგორც ადამში კვდებიან ყველანი, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყველა“ (I კორ.15.21-22).

კაცობრიობის საყოველთაო აღდგომის რწმენა არის ქვაკუთხედი ქრისტიანული აზროვნებისა; ვისაც ეს არ სწამს და თავს მაინც ქრისტიანად თვლის, ძალიან ცდება და, სინამდვილეში, მაცხოვრებელ ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს, რადგან, როგორც პავლე მოციქული ბრძანებს, „თუ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღმდგარა და... თუ ქრისტე არ აღმდგარა, ფუჭია ჩვენი ქადაგებაც და ჩვენი რწმენაც» (I კორ.15.16,14).

„...მაგრამ როგორ აღდგებიან მკვდრები? ან რომელი სხეულით მოვლენ?

რასაც შენ თესავ (იგულისმება მცენარის თესლი), ვერ იცოცხლებს, თუკი არ მოკვდა; ასევე, მკვდართა აღდგომისასაც: ითესება ხრწნილებაში, აღდგება უხრწნელებაში; ითესება დამცირებაში, აღდგება დიდებაში... ითესება სხეული მშვინიერი, აღდგება სხეული სულიერი» (Iკორ. 15,35-36; 42-44).

სწორედ რწმენა მარადიულ ნეტარებაში დაბრუნებისა აძლევს აზრს ჩვენი ყოფის იმ წესს, რაც უფალმა გვასწავლა და გულისხმობს: სხვათადმი მსახურებას, თავმდაბლობას, დათმენას, თანაგრძნობას, თანადგომას, ზნეობრიობას, მშვიდობისმოყვარეობას, გულის სიწმინდეს, სულის სიმტკიცეს, უშურველობას, თავდადებას...

ჯვარცმის შემდეგ ისინი, რომლებიც საფლავთაგან აღდგნენ, გახდნენ პირველი მქადაგებელნი ქრისტეს აღდგომისა. და როგორ არ დაიჯერებდნენ აღდგომის სასწაულს ისინი, რომლებიც საკუთარი თვალთ ხედავდნენ გახსნილ სამარეებს და ისმენდნენ საფლავთაგან გამოსულთა ქადაგებას?!

როგორ არ დაიჯერებდნენ აღდგომის სასწაულს მენელსაცხებლე დედები და მოწაფეები, როცა 40 დღის განმავლობაში ჰქონდათ ურთიერთობა უხრწნელი სხეულით აღმდგარ უფალთან და მისგან დარიგებებს კვლავ იღებდნენ!?

როგორ არ დაიჯერებდნენ მომხდარს იესო ქრისტეს ასობით სხვა თვითმხილველნიც და მისი ცად ამალეების მოწმენი?!

ეს ურყევი რწმენა და უფლის სწავლებანი შინაგანად სულიერად განბრძნობილმა და განმტკიცებულმა მოციქულებმა და ეკლესიამ მთელ ქვეყანაზე განავრცეს.

* * *

წმ. ეფრემ ასური წერს: „მკვდართა აღდგომისას მიწა უკან აბრუნებს ადამიანს ისეთივეს, როგორიც იყო; იმათაც, ვინც ზღვამ შთანთქა, ვინც მხეცებმა და ფრინველებმა შეჭამეს, ვინც ცეცხლში დაიწვა... აქ ერთმანეთის უნახავნი, იქ იხილავენ ერთურთს; დედა იცნობს, რომ ეს მისი შვილია, და შვილი იცნობს, რომ ეს მისი დედაა... ამასთან, თითოეულის სხეული თავის საქმეებს აჩვენებს, რადგან თითოეული ჩვენგანი ამ საქმეებს საკუთარი სხეულით ატარებს და ყველას შესაბამისად მიეგება საზღაური».

ადამიანი არ არის ცალკე არც სული და არც სხეული, არამედ – მათი ერთობა. ასე შეიქმნა იგი თავიდანვე; ამ ერთობას არღვევს სიკვდილი, რაც ცოდვის შედეგია; აღდგომით ჩვენი განახლებული სხეული და სული კვლავ შეერთდება და ღირსთათვის სამოთხისეული მდგომარეობა უფრო აღმატებული სახით დაბრუნდება.

ეს კი მეორედ მოსვლის შემდეგ აღესრულება, როცა შეიქმნება ახალი მიწა, ახალი ცა, სიკვდილი სრულად განქარდება და მარადისობაშიც ჩვენი საბოლოო დამკვიდრება მოხდება.

მაგრამ ვიდრე არ დამდგარა ჟამთა აღსასრული და გარდაცვლილთა სულები თავისი უხრწნელი სხეულით შემოსვის მოლოდინში არიან, ვიდრე შესაძლებელია როგორც საკუთარი თავის, ოჯახის წევრებისა და სხვათადმი, ასევე, იმქვეყნად წასულ ჩვენს ახლობელთათვის ლოცვა და სიკეთის ქმნა, ადამიანთა გამოსხნის პროცესი ბოლომდე დასრულებული არ არის.

გვჯერა ეს თუ არ გვჯერა, გვსურს ეს თუ არა, რეალობა ერთია, – ჩვენი არსებობა ამ წუთისოფლით არ მთავრდება.

ამქვეყნად აღვასრულებთ არსებობის იმ სახეს, რაც გარდაცვალების შემდეგ ჩვენს მომავალ ცხოვრებას განაპირობებს. ასე რომ, ჩვენი ყოველდღიური მოქმედებით, აზროვნებითა და მეტყველებით ჩვენ თვითონ ვპერწავთ,

ჩვენ თვითონ ვქმნით ჩვენს მარადიულობას, – კარგს ან ცუდს.

და როგორც სამოთხეში, ისე აქაც, დედამიწაზე, ჩვენზეა დამოკიდებული, რას ავირჩევთ მიზნად: სიკეთეს თუ ბოროტებას, სიცოცხლეს თუ სიკვდილს?

აირჩიე სიკეთე და სიცოცხლე! ამით დაამტკიცებ, რომ აფასებ ღვთის სიყვარულსა და მსხვერპლს შენს გადასარჩენად გაღებულს და აფასებ საკუთარ სიცოცხლეს – შემოქმედის უდიდეს წყალობას შენდამი.

მადლისმიერი განღმრთობის შესაძლებლობაზე დიდი რა უნდა იყოს ადამიანისთვის! ამიტომაც რა პროფესიისა და ასაკისაც არ უნდა იყო და რა საქმესაც არ უნდა აკეთებდე, ყოველივე მიმართე ღვთის სადიდებლად და მის სამსახურად; და „ნუ იქნება ცოდვის სუფევა თქვენს მოკვდავ სხეულში, ნუ დაემორჩილებით მის (სხეულის) სურვილებს“ (რომ 6.12).

„თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულის წმინდისა, რომელიც გაქვთ ღმრთისაგან და არ ეკუთვნით თქვენს თავს.

ადიდეთ ღმერთი, თქვენი სხეულითა და თქვენი სულით, რომელნიც არიან ღვთისა!“ (რომ. 18,19-20).

დღეს მსოფლიოს ეფინება საოცარი საგალობელი:

„ნათელ-იღე, ნათელ-იღე, იერუსალემ, რამეთუ მოწევნულ არს ნათელი შენი და დიდებაი უფლისაი შენ ზედა გამოზრწყინდა, და ვიდოდიან ყოველნი ნათესავნი ნათელსა შენსა!

განიღვიძე, განიღვიძე, სიონ! განიღვიძე და აღდეგ იერუსალემ! და დაიდგ გვირგვინი სიკეთისა შენისაი, სიონ, და შეიმოსე დიდებაი შენი, იერუსალემ!

განიძარცუე სამოსელი გლოვისა შენისაი და შეიმოსე სამკაული სიხარულისა შენისაი, ქალაქო წმიდაო, რამეთუ „აჰა ესერა მწუხრსა განისუენა ტირილმან და ცისკარსა მას მოიწია სიხარული აღდგომისაი“ (მელეტი ანტიოქიელი).

აღდგომილმა მაცხოვარმა თქვენც მოგმადლოთ სიხარული!

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით, ყოვლადწმინდა სამებამ დაგლოცოთ, სულიერად განგამტკიცოთ და განგაძლიეროთ თითოეული თქვენგანი!

მუდამ გახსოვდეთ, აღდგომა არის მარადიულობის
იმედი და მწუხარების განქარვების დღე, აღდგომაა
მტრობის დამარცხება, შურზე, ბოროტებაზე და სიკვდილზე
გამარჯვება; აღდგომაა პატიება, გამოსყიდვა და სიხარული;
აღდგომაა სიყვარულის ზეიმი და შესაძლებლობა საუფლო
სხეულში ყველას განახლებისა და ქრისტეში გაერთიანებისა.

ქრისტე აღდგა!
ჭეშმარიტად აღდგა!

თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

თბილისი,

აღდგომა ქრისტესი,

2025 წ.

თენგიზ გუმბერიძე

რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „დავითის ხმალი“

რევაზ ინანიშვილი მე-20 საუკუნის ქართველი კლასიკოსია, რომლის შემოქმედებასაც მკითხველი დღემდე მწყურვალეობით ეწაფება. მისი მოთხრობები სავსეა უდიდესი ადამიანური სითბოთი და სიყვარულით. მისი პერსონაჟები განსაკუთრებული ემოციის ძალით ზემოქმედებენ მკითხველზე. მწერალი დიდ ადგილს უთმობს ჟანრობრივი სურათების აღწერას, ასევე პეიზაჟებს, ბუნებისა და ადამიანების კონკრეტულ სახეებს.

რევაზ ინანიშვილის ფიქრი და განცდა არცთუ იშვიათად დასტორიალებს ჩვენი ქვეყნის წარსულის სურათებს. მისი მოთხრობა „დავითის ხმალი“ სწორედ ამის დადასტურებაა. მოთხრობის მიზანდასახულობა იმ გმირული ეპოქის გავლენის მუდმივი განცდაა, რომელიც ყოველთვის ხაზს უსვამს საქართველოს უდიადესობას. მწერლისეული გადმოცემა მკითხველში ყოველთვის აღძრავს იმ დიდი ეპოქისადმი მოწიწებას და ღრმა პატივისცემას.

მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობა მე-13 საუკუნის შუახანებში განვითარებულ მოვლენებს ეხება, კერძოდ, იმ პერიოდს, როცა საქართველოში უკვე შემოჭრილან მონღოლები და მათს პარპაშს ბოლო არ უჩანს. ავტორი მოთხრობას ასე იწყებს: „წელი იყო ათას ორას ორმოცდაათი, თვე – ქრისტეშობის, დეკემბერი, წვიმიანი შეღამება, წვიმაში

თოვლსაც ურევდა. სამი თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბიჭი ფეხაკრევით გადიოდა სოფელ რცხილასთან“ (ინანიშვილი 2005: 104). მწერლის წარმოდგენით, ქვეყნის ავბედითობაზე მეტყველებს ისიც, რომ სხვა დროს, ალბათ, ძაღლებიც ღავლავით გააცილებდნენ ბიჭებს, მაგრამ ახლა ძაღლებიც აღარ ყეფენ სოფლებში, ანდა როგორ დაიყეფებს, როცა მონღოლები მათაც მუსრს ავლებენ და საკბილოდ იხდიან. ქვეყანაში მონღოლობაა და მონღოლები თვითონ დასდევენ ძაღლებს შუბის ძგერებითა და „ქხოუს“ ამოძახილით, „ჰაერშივე გლეჯდნენ წვერმოკაუჭებული დანებით და მერე ისევ სისხლგამდინარე ხორცს სწვდებოდნენ წვეტიანი კბილებით“ (იქვე).

საინტერესოა, თუ რამ აჰყარა ეს ჭაბუკები ასეთ ცივ და ჯერ კიდევ გაუთენებელ ღამეში, მიდიან ძალვით, ძალიან ფრთხილობენ... ირგვლივ ხანდახან გაისმის მოთარეშე მონღოლის ხმაური, ისინი საკბილოზე არიან გამოსული და ადამიანებზე ნადირობენ, ვის რა წაჰგლიჯონ, ვინ ააწიოკონ... მდინარისაკენ დაღმართს როცა ჩაუყვანენ, მდინარის გაღმიდან მოისმა ცხენების ფლოქვთა ცემა, სულ ახლოს იყვნენ თათრები. ბიჭები ბუჩქებში გაუჩინარდნენ და ჩაკუნტდნენ. სამი მონღოლი მხედარი ჩამოდიოდა გაღმა მხრიდან, წყალი რომ გამოვლეს, შეჩერდნენ და რაღაც ერთმანეთს გადასმახეს. ბიჭებმა მათი მოელვარე შუბები დაინახეს და ერთმანეთს მაგრად მიეკრნენ. მონღოლთა ხმამაღალ ტონში მათი რაღაცით უკმაყოფილება იგრძნობოდა. შემდეგ დაიძრნენ და სოფლის ორღობეში გაუჩინარდნენ. ბიჭებიც გამოძვრნენ სამალავიდან და გზა განაგრძეს. წინ მიდიოდა წათე, უკან თავისი მამიდაშვილი სეზარი მიჰყვებოდა, ხოლო სულ ბოლოს წათეს უმცროსი ძმა ბექა მისდევდათ. მდინარეზე დიდი ლოდები მონახეს და ზედ გადახტომით გადავიდნენ მეორე მხარეს. მოთხრობის ეს ნაწილი ერთობ ინტრიგას ბადებს, მკითხველს სურს, მალე შეიტყოს ყმაწვილების ეს თავგამეტებული სვლა თოვლწყაპიან ამინდში, როცა ფიფქებნარევი წვიმა სახეში სცემდათ და ქალამნიანი ფეხიც ყოველ ნაბიჯზე უსხლტებოდათ ასე მიაღწიეს დანიშნულების ადგილას, ისინი მიწური ქოხის კარს მიაღწენ. წათემ სეზარი და ბექა

მოშორებით დატოვა და თვითონ კარებზე ფრთხილად დააკაკუნა. პასუხი რომ არავინ გასცა, მაშინ წათემ მეორედ უფრო ძლიერად დააკაკუნა და ვიღაცამ შიგნიდან ხმა გამოსცა. „წათე ვარ, აგაბო პაპა, წათე! ხმის დაწევით შეჭხავლა წათემაც. კარი ახმაურდა, აჭრიალდა, წათემ ხელი დაუქნია ბიჭებს, კარში თეთრი მოხუცი იდგა (იქვე: 106). როდესაც ყმაწვილები მიწურში შევიდნენ, დაინახეს მოხუცი აგაბო პაპა, რომელმაც ურდული საიმედოდ გადაკეტა და ბიჭები ცეცხლთან მიიწვია. მუგუზლები „შეატოკა“, ერთმანეთზე შეაწყო და ცეცხლის აღმაც იმატა. ბიჭები ხელცარიელები არ მოსულან, წათემ და ბექამ უბეებიდან კვერცხები ამოიღეს და იქვე დაბალ ტაბლაზე დაალაგეს. მასპინძელი აგაბო პაპა გაწყრა, ეგ რად გინდოდათო? დიდება დარეჯანმა გამოგვატანა შენთანო – უპასუხეს ბიჭებმა. მოხუცმა სითბოთი მოიკითხა დიდება დარეჯანი, შემდეგ მზერა უცნობ სეზარზე შეაჩერა. ეს ჩვენი მამიდაშვილია, მამიდა ხორეშანისა, ერწოში რომ იყო გათხოვილი. მერე? – იკითხა მოხუცმა. წათემ თავს ძალა დაატანა და ისიც თქვა, რომ მამიდა ხორეშანს მონღოლებმა თავი მოაკვლევინესო. მკითხველი ხვდება თავის მოკვლის მიზეზს და წათეც ამ გასაგები მოკლე წინადადებით ამთავრებს ამ უსიამო ფაქტის გადმოცემას. ვაი, საცოდავო ხორეშან, – რამდენჯერმე ამოიგმინა მოხუცმა. კუნძებზე ჩამომსხდარმა ბიჭებმა თვალი შეავლეს მიწურის ავლადიდებას, „სულ ახლოს ორი ბოძი იდგა, ერთზე ეკიდა ზუჩი, ფარი, მშვილდი და ცარიელი კაპარჭი. მეორეზე დიდი მძიმე ტყაპუჭი ეგდო წნელით შემოწნულ, თივაჩაგებულ ჯინზედ. დაბალი კარი გადიოდა უკან, სიბნელეში...“ მოხუცმა ჯამფილა გამოიტანა, რომელზეც შვინდის კერვია ეყარა. შეექცეითო, უთხრა ბიჭებს. შემდეგ სეზარს სახელი ჰკითხა. წათემ უპასუხა, თანაც დასძინა, რომ მამაც აღარა ჰყავსო, ჩვენ მეტი არავინაა ამის პატრონი, ძლივს მოაღწია ჩვენამდე და აქაც კარგად ვერ არის და ჭამის თავიც აღარა აქვსო. ისევ დასძინა, კი მიხვდებოდი, რისთვისაც მოვიყვანეთო. „ვაიმე შვილებო, ვაიმე ჩვენს დღესა“ ამოიკვნესა მოხუცმა. შენ უნდა უშველო, აგაბო პაპა, სთხოვა წათემ. წერაქვით ხომ არ არის სამტვრევი? – იკითხა გადატანითი ტონით მოხუცმა, არაო,

უპასუხა გაღიმებულმა წათემ. დავითის ამბები გაუგონია? იკითხა ისევ მოხუცმა, რაზეც ისევ წათემ გასცა დადებითი პასუხი. მაშინ ერწუხის ბრძოლისა თუ იცისო, იკითხა ისევ მოხუცმა. სეზარმა მორცხვად თავი დახარა და თითქოს ცეცხლს უთხრა: „-კარავში რომ დაბრუნდა მეფე, სარტყელი რომ შემოიხსნა ჯაჭვის პერანგისა, დაკოლტებული სისხლი ჩამოუვიდა დგრივლით. ეგონათ დაჭრილიაო, ხმლიდან უკუქცეული სისხლი კი ყოფილიყო, მაჯიდან იღვიაში ჩასული“ (ინანიშვილი 2005: 108).

ერწუხის ბრძოლის (1104) შემორჩენილი ცნობა დავითის გმირობის შესახებ დღესაც ყველამ იცის ჩვენში. „მანც გამორჩევით გაისმოდა ლომისებრი ბუხუნი ქართველი მეფისა, რომელიც ელვასავით მიმოქროდა და ჩნდებოდა ყველგან, სადაც მის მეომრებს მისჭირდებოდათ... მეფე ტიტანი ერთი მოქნევით ცხენკაციანად კვეთდა მოპირდაპირეს... უნაგირიდან ასხლტდა, და, თავზე გადავლებით, ზურგისკენ ისროდა. მტრის სისხლი მკლავს მოჰყვებოდა და უბეში ექცეოდა (სანიკიძე 1986: 98).

ისტორიკოსთა მიერ ეს გავრცელებული მოსაზრება გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაშიც, მაგალითად, კ. გამსახურდიას რომან „დავით აღმაშენებელში“ ეს ფაქტი მნიშვნელოვნად ხაზგასმული აქვს ავტორს. აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრების პირველი წყარო გახლავთ ის უცნობი ავტორი, რომელმაც დაწერა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, რომლის მიხედვით, მეფე არათუ ზურგით უდგა თავის ლაშქარს ან შორიდან შეძახილებით ამხნევებდა მათ, როგორც ვინმე ერთი მთავართაგანი, არამედ უპირველესად თვითონ გადაეშვებოდა ბრძოლაში და „ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა... სრვიდა და დასცემდა წინა დამთხვეულთა ყოველთა, ვიდრემდის ფრიადისა ცემისაგან არა თუ ვითარცა ძველსა დავითს ელიაზარის ხელი ხრმლისა ვადასა ოდენ დაეწება, არამედ ხრმლით მისით უკომოდიწარითა სისხლითა წელნი აღსავსე ესხნეს, რომელი შემდგომად ომისა გარდახდისა და სარტყელისა განხსნისა საცნაურ იქმნა, ქვეყნად რა დაითხია ესეოდენისა მტკნარისა სისხლისა შეყინებულისა, რომელსა პირველ განხილვისა თვით მისგან ვგონებდით გამოსრულად“ (ქართული მწერლობა 1987: 217).

როგორც ვხედავთ, ყოველი შეტაკებისა და ხმალთაკვეთების შემდეგ ზეადმართული ხმლის პირს უკუ ჩამოდენილი სისხლის წვეთები მაჯიდან მკლავზე გადადიოდა და მეფეს უბე მტრის სისხლით ავსებოდა.

ერწუხის ომის ეს ფრაგმენტი იცის ზედმიწევნით კახელმა მოხუცმა აგაბო პაპამ, ეს ამბავი სცოდნია ყმაწვილ სეზარსაც, რომელიც მოხუცის მომდევნო კითხვამ – მონღოლთა ვაჟკაცობაზე რაღას იტყვიო? – შეაცბუნა და სიტყვა ველარ დაძრა. მაშინ მოხუცმა თავადვე უპასუხა: „- მაგარი ვაჟკაცები არიან მონღოლები, თავის გამწირავნი. ხმალოს უფრო მეტ ფასს ადებენ, ვიდრე საკუთარ თავს, ეგრეა, ეგრე! ჩვენ ჩვენი ხორცი გვირჩევენია ყველაფერს“ (ინანიშვილი 2005: 108). მკითხველისთვის ადვილად გასაგებია მწერლის ჩანაფიქრი, რომ მოხუცის სიტყვებით თავის თანამედროვე საზოგადოების მახასიათებელს თვისებას უსვამს ხაზს.

სავარაუდოდ, მონღოლის ვაჟკაცობისადმი რწმენა და პატივისცემა ქართველთა შორის მას შემდეგ მკვიდრდება, რაც ცოტნე დადიანის მიერ კოხტასთავის შეფიცული გმირების გადასარჩენად გადადგმული უკიდურესად სარისკო ნაბიჯი – შიშველ სხეულზე თავლის წასმა და განწირულთა შორის საკუთარი ნებით დაჯდომა – ნოინმა მოძმისთვის თავდადებად შეაფასა და ყველა მათგანს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ეს ფაქტი პოეტურ სტრიქონებშიც შესანიშნავად გააჟღერა აკაკი წერეთელმა თავის პოემაში „ნათელა“. დიდმა პოეტმა ოდნავადაც არ დაიშურა დიდი შემოქმედებითი ფანტაზია და პოემის დასასრულს მონღოლი ყაენი მშვენიერი მხატვრული ფორმებით შეამკო. აღნიშნულ ისტორიულ ფაქტს უნდა ითვალისწინებდეს მე-20 საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტი შოთა ნიშნიანიძეც თავის ლექსში „ქართველების გასაგონად“, როდესაც აცხადებს:

„ცოტნე გმირია,

დიდებული გმირი... ოღონდაც

თუ ბიჭები ვართ,

ნუ ვადიდებთ მარტოდენ ცოტნეს,

ვახსენოთ სახედაღრეჯილი ლომი მონღოლიც,

გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მცოდნე...“

(ნიშნიანიძე 1989: 241).

ისიც აღსანიშნავია, რომ რეჟისორი ინანიშვილი მონღოლის ვაჟკაცურ ბუნებაზე სხვა მოთხრობაშიც გვიყვება, რომელსაც „ციხე“ ჰქვია.

აგაბო პაპას სადღაც უჩინრად გადამალული აქვს დავითის ნაქონი ხმალი, რომელიც, მოთხრობის მიხედვით, შთამაგონებელ ძალას ატარებს. მოხუცმა დროებით გარეთ გაისტუმრა სამივე და თვითონ კი სიბნელეში გაუჩინარდა. ქუჩაში თოვლის ფანტელები უკვე გახშირებულიყო. ცოტა ხანში წათე ისევ შეუძღვა ბიჭებს მიწურში და ცეცხლის შუქზე ყველამ ნათლად იხილა ტაბლაზე დადებული „ტარმოქრული კაშკაშა ხმალი“, რომელსაც ვადა ჯვრის ფორმისა ჰქონდა. ჯერ წათემ ჩაიმუხლა და ემთხვია დავითის ხმალს, შემდეგ ბექამ და სეზარმაც იგივე გაიმეორეს. ყმაწვილები ისევ დაჩოქილნი იყვნენ, როცა მოხუცმა ხმალი ხელში აიღო და იწყო ქადაგი, რომ მისი პაპის პაპა თექვსმეტი წლისა, ბიძას, დედის ძმას, წაუყვანია დიდგორის ომში.

მოთხრობა თანამედროვე სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, დავითის ნაქონი ხმლის სიმბოლური მნიშვნელობა მწერლის თანამედროვე სატკივარს უსვამს ხაზს, რაც ასე ნათლად იკითხება ტექსტში. სამხედრო ნათლობის მიღებასთან ერთად მოხუცი აგაბო ყმაწვილს ახალი დიდგორის აუცილებლობაზეც მიაწინებს: „ხომ იცი დიდგორის ომისაც სეზარ? ახლა გვჭირდება ერთი დიდგორიც, ახლა... მარტო შუბი სჭერია ჩემს პაპის პაპას... რომ უძგერებია შუბი დიდი თათრისთვის, გადამტყდარა და... გამომართვიო! - დაუქუხნია ვიღაცას, პირდაპირ ხელში მიუცნია ეს ხმალი. ჩემს პაპის პაპას ისიც დაუნახავს, რომ წამსვე სხვა ხმალი მიუწოდებიათ იმ მქუხარხმიანისთვის. წასულა და შესულა გრიგალივით ის მქუხარხმიანი ხშირ ომში. თავისი თანმხლებებით...“ მოხუცმა სეზარს გახდა უბრძანა. სეზარმაც მცისვე მხარტყავი გაიძრო, მერე ჩოხა და პერანგი. მოხუცის ბრძანებით, სეზარმა თავი ასწია და აკოცა ხმალს. ალავსე, ალავსე, ალავსე – სამჯერ წარმოსთქვა მოხუცმა და, შესაბამისად, ხმალსაც კიდევ სამჯერ აკოცა სეზარმა, რომელმაც სულ ბოლოს მოხუცის ეს ნათქვამი გაიგონა: „სულო დავითისაც“. სულ ბოლოს კი – „ჩაიცვი“. ყმაწვილებმა ხმალი აიტაცეს და იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. ღირს

იყავთ, ღირს – შესძახოდათ მოხუცი. შემდეგ მან სეზარს ხმალი ჩამოართვა. გადით ახლა გარეთ, გადით და წადით შინ, თქვა მოხუცმა. ყმაწვილები გამოვიდნენ და წათემ განმარტა – არ უნდა ვინმემ იცოდეს, სად ინახება ხმალი.

გზად მიმავალი ბიჭები მხნეობით აღვსებულიყვნენ. სეზარი აშკარად გრძნობდა, რომ მკერდი გაუდიდდა და ფეხები გაუმსუბუქდა. ბედნიერები იყვნენ წათეც და ბექაც. დავითის მეზრმოლი ენერგიით დამუხტულ ხმალზე დაფიცებამ სხვა ადამიანებად გარდაქმნა ისინი. და მაინც, მოთხრობის ერთ-ერთ მთავარ გასააზრებელს ვხედავთ სეზარის თვითმკვლელობის ეპიზოდში. იგი აღტყინებული და გარდაქმნილია. მზად არის ბრძოლისთვის და კიდეც მიეცა საამისო ასპარეზი.

წყალზე რომ გადავიდნენ და აღმართს აუყვნენ, სოფლის მხრიდან ისევ ცხენის ფეხის ხმა შემოესმათ. ბიჭები მყისვე მიიძალნენ. მონღოლი გასცდა და ცხენი რომ დადმართე ჩადაბლდა, სეზარი მყისვე გამოიჭრა და ფოცხვერივით მოახტა ცხენს. მონღოლმა „ერთი ამოიყმუყუნა“ და სეზარმა იგი მიწაზე დასცა. სეზარი უმაღვე წამოხტა და ბიჭები სირბილით გაეცალნენ იქაურობას. დანა თუ წამოიღეო, ჰკითხა წათემ სეზარს. არა, ყელში ჩავუტოვე იმ ძაღლსო, უპასუხა სეზარმა. დაბრუნებაც გვიან იყო და ამიტომ გზა განაგრძეს. მეორე მამლისყვილისას მიაღწიეს წათეს და ბექას დედისძმის სოფელს. მეორე დღის საღამოხანს რცხილისის მხარე წითლად განათდა. ყმაწვილები გამტკნარებული სახით უყურებდნენ ყოველივეს. სეზარს ცრემლები ჩამოსდიოდა. ჩემი ბრალია ყველაფერიო, მაგრამ ამ სიტყვებზე არც ერთს მისთვის სამდურავი არ უთქვამთ, არც წათეს და არც ბექას ბიძას. მხოლოდ ნანია ძალუა იცემდა მუხლებზე ხელებს.

დილით სეზარი უჩუმრად გასულიყო სახლიდან. წათე და ბექა გაჰყვნენ თოვლზე ნავალ კვალს და მალე წააწყდნენ იქვე ახლოს, დიდ ტოტზე ჩამოეხრჩო თავი სეზარს.

დავითის ხმალზე დაფიცებამ შთაბერა ბრძოლის ჟინი და გამბედაობა ყმაწვილებს. აგაბო პაპას სახლიდან წამოსული სეზარი პირველსავე შემთხვევისას ემგერა მონღოლს. ის არ დაელოდა იმის გაფიქრებას, თუ რა შეიძლებოდა

მოჰყოლოდა დამპყრობელი მონღოლის მკვლელობას. შედეგმაც არ დააყოვნა და მეორე დღეს სოფელი რცხილისი ერთბაშად გადაბუგეს მონღოლებმა, რაც პასუხისმგებლობის შეგრძნებით აღსავსე სეზარმა თავის თავს ვერ აპატია და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

აღნიშნულ მოთხრობაში ავტორმა შემოგვთავაზა ძლევამოსილ მტრის წინააღმდეგ მოქმედების თავისებური ჩანაფიქრი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ძლიერ დამპყრობელთან ბრძოლას სხვა ტაქტი და მოხერხება სჭირდება. სტიქიურმა შეტევამ და უეცრად ამოფრქვეულმა ბრძოლის ჟინმა უფრო დაამძიმა ვითარება და დააზარალა ქართველთა მხარე, ვიდრე რამ სარგებელი მისცა მას. ამიტომაც ამკვიდრებს მოთხრობის ტექსტი დროის შესაბამისი პასუხისმგებლობის იდეას, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ყოველთვის და, მით უმეტეს, ამჟამად, თუმცა ასეთივე აქტუალური ყოფილა მაშინაც, როცა ეს მოთხრობა დაიწერა.

გამოყენებული ლიტერატურა

ინანიშვილი 2005: რ. ინანიშვილი, ლამაზი ცრემლები, თბილისი, 2005.

სანიკიძე 1986: ლ. სანიკიძე, დედა ისტორია, ნაწილი I, თბილისი, 1986.

ქართული მწერლობა, ტ. II, თბილისი, 1987.

ნიშნიანიძე 1989: ნიშნიანიძე შ., ლირიკა, თბილისი, 1989.

Tengiz Gumberidze**REVAZ INANISHVILI'S STORY
«THE SWORD OF DAVID»**

Summary

Revaz Inanishvili's story "The Sword of David" deals with the theme of the historical past, namely the period when the Mongols conquered Georgia. It describes the military baptism of three young men. Grandpa Agabo made them swear an oath on the sword of David, which the great king had given to the old man's ancestor during the Didgori War.

The story is imbued with a modern spirit. The symbolic meaning of David's sword emphasizes the writer's modern suffering. Along with the military baptism, grandpa Agabo hints to Cesar about the necessity of a new Didgori.

Grandpa Agape gives the sword presented by King David great inspiring power, and the young men who swear on it are indeed filled with a new desire for battle. Fifteen-year-old Cesar, who swore on the sword of David, killed one of the Mongols, which in that case was a thoughtless and spontaneous step. The young man failed to take into account the grave consequences of killing a powerful conqueror. That same night, the Mongols completely burned the village of Tskhilisi and razed the population to the ground. Cesar considered his act an unforgivable mistake and hanged himself at dawn.

The author of the story teaches a reader a peculiar acting method against a powerful enemy. The sudden outbreak of the battle rage and the thoughtless step aggravated the situation even more and harmed the Georgian side.

The story establishes the idea of responsibility for timely action, which is always to be considered.

ვახტანგ გურული

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა (I ნაწილი)

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ ბევრი დაიწერა. გამოქვეყნდა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტური მასალა, გამოითქვა მრავალი საყურადღებო მოსაზრება. მიუხედავად ამისა, ბევრი საკითხი მაინც გარკვევასა და დაზუსტებას საჭიროებს; საარქივო დოკუმენტების ნაწილი სერიოზული კომენტარების გარეშე რაიმეს მტკიცების ან უარყოფისათვის არ გამოდგება. წინამდებარე წერილში შევეცდებით ჩვენი აზრი გამოვთქვათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე.

* * *

1907 წლის 31 აგვისტოს გაზეთმა „ისარმა“ თავზარდამცემი ამბავი ამცნო საქართველოს: „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე“. დასრულდა ილია ჭავჭავაძის მოწამეობრივი ცხოვრება, როგორც გალაკტიონმა ბრძანა, დასრულდა საქართველოს ისტორიის ერთი დიდი ეპოქა. ქართველ ერს ამიერიდან ცხოვრება უილიაოდ უნდა გაეგრძელებინა.

ჩვენი მიზანია კომენტარები გავუკეთოთ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის საგამომძიებლო მასალებს. ამ მასალების რუსულ ენაზე არსებული დედნების ნაწილი 1938 წელს გამოაქვეყნა პაატა გუგუშვილმა (იხ. გუგუშვილი 22

1938). საგამომიებლო მასალების უფრო სრული გამოცემა განახორციელა ალექსანდრე შუმანაშვილმა (იხ. შუმანაშვილი 1996).

1. ვინ და როგორ ზრუნავდა ილია ჭავჭავაძის სიცოცხლის დაცვისათვის

რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა არ შეიძლებოდა განხილულიყო იმ ტერორისტული აქტების თანახმად, ასე რომ მოხშირდა 1905 წლიდან. სახელმწიფო საბჭოს წევრის სიცოცხლის დაცვაზე ზრუნვა უშუალოდ არ ევალებოდა, მაგრამ კავკასიის მეფისნაცვალი პასუხს აგებდა სამეფისნაცვლის ადმინისტრაციული ორგანოების, ძალოვანი სტრუქტურებისა და სპეცსამსახურების მუშაობაზე, რომლებიც უშუალოდ იყვნენ პასუხისმგებლები ილია ჭავჭავაძის სიცოცხლის დაცვაზე. ეს თანამდებობა იმხანად ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვს ეკავა. მეფისნაცვალი იმპერატორის ფავორიტი იყო და, ამდენად, მის კარიერას საფრთხე არ ემუქრებოდა. სამაგიეროდ, დგებოდა ადმინისტრაციული ორგანოებისა და სპეცსამსახურების, მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი. კონკრეტულად, ეს ეხებოდა:

1. თბილისის გუბერნატორს;
2. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს;
3. რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის დაცვის განყოფილების (ოხრანკის) თბილისის გუბერნიის რეგიონალურ ორგანიზაციას (თბილისის ოხრანკას);
4. თბილისის პოლიცმაისტერის სამმართველოს;
5. თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოკრუგის დროებით გენერალ-გუბერნატორს (იმხანად თბილისის გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, რის გამოც დროებითი გენერალ-გუბერნატორი დიდი უფლებებით სარგებლობდა);
6. თბილისის გუბერნიის დუმეთის მაზრის მმართველობას.

ამ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და სპეც-სამსახურებმა სრული უმოქმედობა გამოიჩინეს და ვერაფერი შეიტყვეს იმის თაობაზე, თუ როგორ მომზადდა და განხორციელდა იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა. დუშეთის მაზრის უფროსი ყარამან ფაღავა კარგი პროფესიონალი გახლდათ და, როგორც მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტისას დადასტურდა, დაინტერესებული იყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ობიექტური გამოძიებით. ამასთან ერთად, მაზრის უფროსს კარგად უნდა სცოდნოდა: თუ სახელმწიფო საბჭოს წევრის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრებოდა, მისთვის დაცვის მიჩენა (ჩაფრების საგუშაგო სახლთან საგურამოსა და თბილისში, ანდრიას ქუჩაზე, თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში, მგზავრობისას თბილისში და ქალაქის ფარგლებს გარეთ და ა.შ.) მის სურვილზე აღარ იყო დამოკიდებული. თუ ილია ჭავჭავაძე პრინციპულად მოითხოვდა მის სახლთან არსებულ ჩაფრების საგუშაგოს მოხსნას, მაშინ ყარამან ფაღავას საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოკრუგის დროებითი გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი ტიმოფეევი და საგუშაგო მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ მოეხსნა. ცხადია, საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლთან ჩაფრების საგუშაგოს არსებობა სულაც არ იძლეოდა ილიას სიცოცხლის დაცვის გარანტიას. თუ ტერორისტები მის მოკვლას გადაწყვეტდნენ, ამის განხორციელება შეიძლებოდა თბილისში, ანდრიას ქუჩაზე მდებარე ილიას საცხოვრებელ სახლზე თავდასხმისას, მაშინ, როდესაც ილია ეტლით გადაადგილდებოდა ანდრიას ქუჩიდან სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკამდე ან თბილისიდან საგურამომდე. დუშეთის მაზრის უფროს ყარამან ფაღავას და დროებით გენერალ-გუბერნატორ ნიკოლაი ტიმოფეევს კარგად ესმოდათ, რომ თბილისის გუბერნიის თბილისისა და დუშეთის მაზრებში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების ერთ-ერთი მიზეზი იქ უმართავი კრიმინოგენული ვითარება იყო. 1905 წელს შექმნილი წითელი რაზმების განადგურების შემდეგ ცოცხლად გადარჩენილმა

წითელრაზმელებმა თავი შეაფარეს დუშეთის მაზრის ტყეებს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა იქცა ტიპურ შარაგზის ყაჩაღად და მკვლელად. იგივე მდგომარეობა იყო თბილისსა და თბილისის მაზრაში. ჟანდარმერიისა და ოხრანკის მონაცემებით, თბილისსა და მის შემოგარენში მკვლელთა და ყაჩაღთა თავშესაფარს წარმოადგენდა: კუკიის მლაშე ტბების, თბილისიდან მოშორებით არსებული მლაშე ტბების მიდამოები (დღევანდელი თბილისის ზღვის ტერიტორია), ვეძისის დასახლება და სხვ. რაც შეეხება დუშეთის მაზრას, იქ მკვლელები და ყაჩაღები თავისუფლად დათარეშობდნენ სოფლებში, აშინებდნენ მოსახლეობას. მართალია, მაზრაში მცხოვრებ მემამულეთა სახლებს ჩაფრები იცავდნენ, მაგრამ ეს ვითარებას ვერ აუმჯობესებდა. ჩაფრების მცირერიცხოვანი ჯგუფები მემამულის ეზოდან გასვლასაც ვერ ბედავდნენ.

დუშეთის მაზრაში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული ვითარების გამო პრაქტიკულად არანაირი აზრი არ ჰქონდა საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლთან, ჩაფრების პოსტის დაყენებას. ილიას სიცოცხლეს ვერ დაიცავდა ვერც სოფელ წიწამურთან არსებული კაზაკთა საგუშაგო (0,5 ასეული) და ვერც მცხეთაში განლაგებული კაზაკთა 0,5 ასეული. აუცილებელი იყო ილიას დაცვის ორგანიზება სოფელ წიწამურიდან საგურამომდეგზის 3,5-4-ვერსიან მონაკვეთზე. გზის ორივე მხარეს ტყე იყო, რაც ტერორისტებისათვის ჩასაფრების კარგ საშუალებას წარმოადგენდა. აუცილებელი იყო საგურამოში ილიას საცხოვრებელი სახლის სადღეღამისო დაცვა. ყარამან ფაღავასათვის ცნობილი გახდა, რომ 1907 წლის 7 ივნისს მკვლელები თავისუფლად შევიდნენ საგურამოში, ილია ჭავჭავაძის ეზოში მდებარე მოურავის სახლში მოკლეს მოურავი მოსე მემარნიშვილი, მძიმედ დაჭრეს მისი მეუღლე, რის შემდეგაც შეიჭრნენ და გაძარცვეს ილია ჭავჭავაძის სახლი. ყოველივე ეს ისე მოხდა, რომ მახლობლად, თავადთა მამულებში, განლაგებულ ჩაფრების საგუშაგოებს საერთოდ არაფერი შეუტყვიათ.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვრცელდებოდა ხმები, ილია ჭავჭავაძეს მალე მოკლავნო, სახელმწიფო საბჭოს წევრის ეტილით გადაადგილება 3,5-4-ვერსიან

მონაკვეთზე წიწამურიდან საგურამომდე მხოლოდ ერთი მცველის, იაკობ ბითარიშვილის (ბითარაშვილის, თარაშვილის), იმედად უაღრესად საშიში იყო. საგურამოში ილიას სახლის დაცვა რომ აუცილებელი გახლდათ, ამას ადასტურებს თანამედროვის მოგონება: ილია სადამო ხანს ტყის მხარეს გამავალ აივანზე ყოფნას ერიდებოდაო.

წიწამურიდან საგურამოსაკენ მიმავალ ილია ჭავჭავაძეს თავს დაესხნენ გლეხები, რომელთაგან არცერთი პროფესიონალი ქილერი არ ყოფილა. ისინი იყვნენ გადაგვარებული ადამიანები, რომლებიც გასამრჯელოს სანაცვლოდ ყველაფერს იკადრებდნენ. არაპროფესიონალ ქილერებს ილიაზე თავდასხმა მისმა დაუცველობამ გაუადვილა.

შევაჯამოთ ნათქვამი: ილია ჭავჭავაძის სიცოცხლის დაცვისათვის საკმარისი არ იყო ჩაფრების საგუშაგოს მოწყობა თბილისში, ილიას საცხოვრებელ სახლთან, ანდრიას ქუჩაზე; თბილისში სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკთან, კაზაკთა 0,5 ასეული მცხეთაში, კაზაკთა 0,5 ასეული წიწამურთან, ილიას მუდმივად თან უნდა ხლებოდა არა რამდენიმე ჩაფარი (სტრაჟნიკი), რომელთაც ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლას ვერსად გაართვეს თავი, არამედ ცხენოსან კაზაკთა რაზმი თბილისიდან საგურამომდე გასაცილებლად. მოურავ მოსე მემარნიშვილის მკვლელობამდე საგურამოს სახლში მყოფ ილიას ჩაფრებიც კი არ იცავდნენ. სოციალურად არასანდო ელემენტები: მეეტლე თედო ლაბაური, გიგოლა (გიგო) მოძღვრიშვილი და მოსე მემარნიშვილის მკვლელობის მონაწილე, ილიას სახლის დარაჯი პავლე ფშავლიშვილი (აფციაური) ილიას ეზოსა და მამულში მუდმივად იმყოფებოდნენ. მხოლოდ მოსეს მკვლელობის შემდეგ ჩაფართა საგუშაგო (ერთი ურიადნიკი და 4 ჩაფარი) სოფელ გალავანიდან ილიას მამულში გადავიდა. თბილისიდან საგურამოში გზა მაშინ, 1907 წელს, დღევანდელს არ ემთხვეოდა; მგზავრი მტკვრის მარჯვენა ნაპირით უნდა შესულიყო მცხეთაში, გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ გადასულიყო მტკვრის მარცხენა ნაპირზე, არაგვის მტკვართან შეერთების ადგილიდან ოდნავ ზემოთ, ფონით გადაელახა არაგვი, აევლო არცთუ 26

ისე ხშირი ტყით დაფარული აღმართი და გამოსულიყო წიწამურთან. რადგან მცხეთაშიც და წიწამურთანაც კაზაკთა რაზმები (თითოეულში 0,5 ასეული) იდგა, სავარაუდო იყო, რომ ტერორისტები გზის ამ მონაკვეთზე თავდასხმას ვერ გახედვდნენ. წიწამურიდან საგურამომდე 3,5-4 ვერსის გზა იყო, მარცხენა მხარეს ბუჩქნარი და არცთუ ისე ხშირი ტყე, მარჯვენა მხარეს – დამრეცი, ზორცვიანი ფერდობი და გაუვალი ტყე. ტერორისტებისათვის გზის მონაკვეთი წიწამურიდან საგურამომდე ძალზე ხელსაყრელ ადგილს წარმოადგენდა თავდასხმისათვის. ამ მონაკვეთზე არც კაზაკთა და არც ჩაფართა მუდმივი საგუშაგო არასდროს ყოფილა. ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა, დაშვებული იმ სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ, რომელთაც ილია ჭავჭავაძის სიცოცხლის დაცვაზე უნდა ეზრუნათ. ჩვეულებრივ, გზის ამ მონაკვეთზე კაზაკთა ან სხვა საკავალერიო ნაწილების მიერ მუდმივმოქმედი საგუშაგოების მოწყობა შეიძლება გარკვეულ სირთულეებთან ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ მაშინ, როცა თბილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოკრუგში სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული, დროებით გენერალ-გუბერნატორს, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლაი ტიმოფეევს იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრის სიცოცხლის დაცვისათვის 2-3 საკავალერიო ასეულის მობილიზება არ გაუჭირდებოდა.

2. ვინ შეუკვეთა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა?

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა შეუკვეთა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ემიგრაციაში, ძირითადად ქენევასა და პარიზში, მოღვაწეობდა და იქიდან ცდილობდა რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენას. საქართველოში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის გატარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ რსდმპ თბილისისა და ბათუმის კომიტეტები. 1907 წლის დეკემბრამდე მენშევიკები და ბოლშევიკები თბილისისა და ბათუმის კომიტეტებში ერთად მოღვაწეობდნენ.

1892-1893 წლებში შექმნილი პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი“ მალე ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის უარყოფის გზას დაადგა. XIX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძის ეროვნული მოძრაობის პროგრამას ქართული სინამდვილის გარდაქმნის სოციალისტური პროგრამა დაუპირისპირეს. XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან დაწყებული ეროვნული მოძრაობის მონაპოვრის ფრთხილ კრიტიკასთან ერთად, ქართველი სოციალ-დემოკრატები დაბეჯითებით აცხადებდნენ: ეროვნული მოძრაობის აღიარებულ წინამძღოლებს ახალ ეპოქაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ხელმძღვანელობა აღარ შეუძლიათ, მათ თავიანთი მისია ამოწურეს და პროგრესის შემაფერხებელ ძალად იქცნენ. ამ წინამძღოლთა შორის, ხან მოხსენიების გარეშე, ხან ღიად, პირველ რიგში, ილია ჭავჭავაძეს გულისხმობდნენ.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ილიას წინააღმდეგ დაწყებული იდეური ბრძოლა ხან ჩაცხრებოდა, ხან ახალი ძალით იფეთქებდა. 1903 წელს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ილია ჭავჭავაძის ფიზიკური ლიკვიდაცია სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. 1905 წლის გაზაფხულზე ფილიპე მახარაძის რედაქტორობით გამოშვალ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „მოგზაურში“ ილია ჭავჭავაძის პიროვნების შეურაცხმყოფელი პუბლიკაციები გამოქვეყნდა. სოციალ-დემოკრატებმა ჩათვალეს, რომ ილია ჭავჭავაძე პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ მონაწილეობას ვეღარ მიიღებდა, მაგრამ მოხდა ის, რასაც ისინი ძნელად წარმოიდგენდნენ. 1906 წლის გაზაფხულზე რუსეთის იმპერიაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს – სახელმწიფო საბჭოს – არჩევნები ჩატარდა. 1906 წლის 6-8 აპრილს პეტერბურგში გაიმართა სრულიად რუსეთის თავადაზნაურთა საარჩევნო ყრილობა. კანონით გათვალისწინებული იყო, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრთა ნაწილს რუსეთის იმპერატორი ნიშნავდა, მეორე ნაწილს კი ირჩევდნენ. სახელმწიფო საბჭოში ასარჩევი 18 ადგილიდან ამიერკავკასიას 1 ადგილი დაეთმო. 7 აპრილს გამართულ 28

არჩევნებზე ეს 1 ადგილი 61 ხმით 17 ხმის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძეს ერგო. სახელმწიფო საბჭოში 1907 წლის 1 იანვრამდე იმპერატორის მიერ დანიშნულ იქნა 101 წევრი, ხოლო არჩეული – 97, სულ – 198 წევრი. 1907 წლის 1 იანვრიდან მათ დაემატა 6 არჩეული და 7 დანიშნული წევრი, რომელთაც შეცვალეს ადრე დანიშნული და არჩეული პირები (შარაძე 1990: 274-275).

ილია ჭავჭავაძის რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში არჩევა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ქართველი სოციალ-დემოკრატები თვლიდნენ, რომ მათ ილია ჭავჭავაძე უმნიშვნელო პოლიტიკურ ფიგურად აქციეს, 1906 წლის მარტში კი ილია რუსეთის იმპერიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი გახდა. სანამ ილია ჭავჭავაძე ცოცხალი იყო, სოციალ-დემოკრატებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ერთადერთ ხელმძღვანელ ძალად გახდომა უკიდურესად გაუჭირდებოდათ. სოციალ-დემოკრატებისათვის, ცხადია, გამაღიზიანებელი იყო 1905 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ პოლიტიკური პარტიის შექმნის ცდა. კიდევ უფრო მიუღებელი იქნებოდა სოციალ-დემოკრატებისათვის 1906 წლის იანვარში გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული დოკუმენტი – პროგრამა „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიისა“, რომლის უპირველესი იდეოლოგი ილია ჭავჭავაძე იყო (შარაძე 1990: 256-271). სოციალ-დემოკრატებისათვის არასასურველი პროცესი კი ილიას რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევით დაგვირგვინდა. დრო აღარ ითმენდა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობამ ილია ჭავჭავაძის ფიზიკური ლიკვიდაცია გადაწყვიტა. განისაზღვრა ის პრინციპებიც, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს მკვლელობა.

3. ვერსიები ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ

1907 წლის 30 აგვისტოს შემდეგ ილიას მკვლელობის თაობაზე ხუთი ვერსია შეიქმნა, რომელთაგანაც ჭეშმარიტი

მხოლოდ ერთი იყო. პირველი ოთხი ვერსია ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შეთხზეს ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის მითითების თანახმად. პრაქტიკულად, ეს ვერსიები ილიას მკვლელობამდეა შექმნილი, მკვლელობის დღიდან მათი გავრცელება დაიწყო. იმ სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც ამ ყალბ ვერსიებს ავრცელებდნენ, არ იცოდნენ, რომ ილიას მკვლელობა რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა, ხოლო მკვლელობის ორგანიზატორები სერგო ორჯონიკიძე და ფილიპე მახარაძე იყვნენ. ქართველი სოციალ-დემოკრატების ნაწილს, რომლებიც ყალბ ვერსიებს ავრცელებდნენ, გამორიცხული არ არის, მართლაც სჯეროდა, რომ ილია ჭავჭავაძე მასზე განაწყენებულმა გლეხებმა მოკლეს. ნიშანდობლივია ერთი ფაქტი: იმ დღეებში კარლო ჩხეიძე და კირილე ნინიძე თბილისიდან დუშეთში ავიდნენ და ყარამან ფაღვას ჰკითხეს: გვითხარი, ვინ მოკლა ილია ჭავჭავაძეო. ასე რომ, სოციალ-დემოკრატებშიც დაბნეულობა იყო, თუმცა ყველანი ერთხმად ავრცელებდნენ ილიას მკვლელობის ოთხ ყალბ ვერსიას. მოკლედ მიმოვიხილოთ ისინი.

პირველი ვერსია – მკვლელობა მარცვის მიზნით. ეს ვერსია შემთხვევით არ შექმნილა, მას წინასწარ ამზადებდა ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც ილიას მკვლელობა ჰქონდა განზრახული. 1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურთან მოკლული ილია ჭავჭავაძისა და მძიმედ დაჭრილი მისი მეუღლის გაძარცვა სიმულირებული იყო და ხელისუფლების, საზოგადოებისა და გამოძიების შეცდომაში შეყვანას ისახავდა მიზნად. მავანმა იქნებ დაიჯერა კიდევ, რომ ილია მარცვის მიზნით მოკლეს, მაგრამ კავკასიის მეფისნაცვლის ადმინისტრაციას ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ძარცვა სიმულირებული იყო. 1907 წლის 1 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, იმპერატორის კანცელარიაში, გაგზავნილ დეპეშაში თბილისის გუბერნატორი აღნიშნავდა: „ძარცვა სიმულირებულია“ (გუგუშვილი 1936: 41-42; შუშანაშვილი 1996: 86). ცხადია, გუბერნატორი კომპეტენტური ორგანოების დასკვნას ეყრდნობოდა. კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციას, პირადად

მეფისნაცვალს, თბილისის გუბერნატორს, თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოკრუგის დროებით გენერალ-გუბერნატორს, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს, თბილისის ობრანკის უფროსსა და სხვა თანამდებობის პირებს ხელს აძლევდა მარცვის მიზნით მკვლელობის ვერსია. მარცვის შემთხვევაში მათ ნაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, ვიდრე პოლიტიკური მკვლელობისას. მიუხედავად ამისა, თავდაპირველად კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაციამ მისთვის ხელსაყრელ, მაგრამ უსუსურ ვერსიას მხარი არ დაუჭირა – მარცვის მიზნით მკვლელობის ვერსია გამორიცხა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მარცვის მიზნით ილიას მკვლელობის ვერსიის წინააღმდეგ მეტყველებდა შემდეგი გარემოება: რა სიმდიდრე (ფული და ძვირფასი ნივთები) უნდა ჰქონოდათ ილიასა და მის მეუღლეს ეტლში? დუშეთის მაზრის უფროსმა ყარამან ფალავამ 1907 წლის 31 აგვისტოს მოხსენება წარუდგინა თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოკრუგის დროებით გენერალ-გუბერნატორ ნიკოლაი ტიმოფეევს, რომელშიც ვკითხულობთ: „ბოროტგანმზრახველებმა მკვლელობის შემდეგ ჩაიდინეს მარცვა, წაიღეს განსვენებულ თავად ილია ჭავჭავაძის 300 მანეთად ღირებული ოქროს საათი, 20 მანეთად ღირებული ოქროს პენსნე, საფულე, მაგრამ რა თანხა იყო მასში, ცნობილი არაა. წაიღეს ვექსილები და სხვა საქმიანი ქაღალდები, აგრეთვე – თეთრეულის შეკვრა ნიშნით “ი”. განსვენებულს გახადეს ნაცრისფერი პიჯაკი. მსახურ იაკობ ბითარიშვილს გახადეს 15 მანეთად ღირებული ჩექმები, აართვეს 40 მანეთად ღირებული ვერცხლის ქამარი, 8 მანეთად ღირებული თუჯის საათი და სახაზინო ნიმუშის რევოლვერი. კნენა ოლღა ჭავჭავაძეს ყელიდან ჩამოგლიჯეს ოქროს მედალიონი, რომელშიც იყო განსვენებულ თავად ილია ჭავჭავაძის სხვადასხვა ასაკში გადაღებული სურათები” (შუშანაშვილი 1996: 85).

1907 წლის 18 სექტემბერს ნიკოლაი ილიაშენკომ დაკითხა ილიას მეუღლე ოლღა ჭავჭავაძე, რომელმაც განაცხადა: „თბილისიდან შემდეგი ნივთები წავიღეთ: ყვითელი ტყავის საკვოიაჟი, დაახლოებით ასეთივე ფერის

საიდუმლოსაკეტიანი ჩემოდანი, პორტფელი და პატარა საფულე. მიმქონდა ჩემი კაბა და მეუღლის სხვადასხვა თეთრეული, დუქინი სასადილო და ჩაის კოვზები, დანები და ჩანგლები. კოვზები ვერცხლის კი არ იყო, არამედ ფრაჟე... ვიცი, მეუღლეს ფული ჰქონდა, წამოსვლის წინ მოუტანეს ბანკიდან, მაგრამ რამდენი, არ ვიცი. ფული მას ჰქონდა საფულეში, სადაც სხვადასხვა ქაღალდებიც ეწყო” (შუშანაშვილი 1996: 135). უფრო მეტი ქონების ხელში ჩაგდება ყაჩაღებს შეეძლოთ, თუ ისინი ილიას არყოფნის დროს დაეცემოდნენ მის სახლს თბილისში ან საგურამოში.

ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ ყაჩაღებს ილიას მკვლელობის გარეშე, გაცილებით უფრო ნაკლები რისკის ფასად, უფრო მეტი ფულის შოვნა შეეძლოთ, ვიდრე იშოვეს დიდ რისკთან დაკავშირებული ილიას მკვლელობით, მაშ, რატომღა მოკლეს ილია? ყაჩაღები არც ისე სულელები იყვნენ, რომ არ სცოდნოდათ: ილიას სახლის გამარცვა თბილისში ან საგურამოში მათ უფრო ადვილად შერჩებოდათ, ვიდრე დღისით, მზისით რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრის მოკვლა. როგორც აღვნიშნეთ, თბილისის გუბერნიაში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობისათვის 25-წლიანი ან სამუდამო კატორღა შეღავათიანი სასჯელი იყო. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს ჩამოხრჩობის განაჩენი გამოჰქონდა. ყოველივე ეს კარგად უნდა სცოდნოდათ ივანე (ვანო) ინაშვილს, გიგოლა (გიგლა) ბერბიჭაშვილს, გიგოლა (გიგო) მოძღვრიშვილს, პავლე ფშავლიშვილს (აფციაურს), თევდორე (თედო) ლაბაურს და გიორგი (ლომა) ხიზანაშვილს. ეს უკანასკნელი ილია ჭავჭავაძის ეტლს წინ არ გადასდგომია, ტყეში გორაკზე იდგა და ჩასაფრებულ ტერორისტებს ილიას ეტლის გადაადგილებას ატყობინებდა. ბუნებრივად ისმის კითხვა: მაშინ რატომ წავიდნენ ტერორისტები ასეთ დიდ რისკზე? ეს ერთადერთმა მიზეზმა განაპირობა: პიროვნება, რომელმაც მკვლელობის ორგანიზატორთა დავალებით ტერორისტები გადაიბირა, მათ სასჯელისაგან თავის დაღწევის გარანტიას

მისცემდა. რა გარანტიები იყო ეს, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ცნობილია, რომ გიგოლა ბერბიჭაშვილი სოციალ-დემოკრატებმა საიმედოდ გადამალეს (ერთი ვერსიით, ის ირანში გაიყვანეს), ხოლო პავლე ფშავლიშვილი (აფციაური) თბილისის შემოგარენში ჩატარებული ერთ-ერთი რეიდის დროს შემთხვევით მოკლეს პოლიციელებმა. ასე რომ, თუ სოციალ-დემოკრატები მოინდომებდნენ, მკვლელობის სხვა მონაწილეებსაც გადამალავდნენ (ჩრდილო კავკასიაში ან ირანში გაიყვანდნენ).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: ვერსია ილია ჭავჭავაძის ძარცვის მიზნით მკვლელობის თაობაზე სრულიად უსაფუძვლოა.

მეორე ვერსია – მკვლელობა აგრარულ ნიადაგზე. ეს ვერსიაც სოციალ-დემოკრატებმა შეთხუეს, მიზანიც იგივე იყო: ხელისუფლების, საზოგადოებისა და გამოძიების შეცდომაში შეყვანა.

გლეხების მიერ მემამულეების მკვლელობებმა და მათი მამულების დარბევებმა მასობრივი ხასიათი შეიძინა 1905 წლის გაზაფხულიდან და გრძელდებოდა მთელი ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში. მალე გლეხთა „წითელი რაზმების“ თარეშს მემამულეებმა „შავი რაზმების“ შექმნით უპასუხეს. ბევრმა მემამულემ ჩრდილოკავკასიელი მთიელები დაიქირავა და ტერორისტთა თვითნებობა ასე თუ ისე ალაგმა. ხელისუფლებაც სათანადოდ დაეხმარა მემამულეებს, ბევრ სოფელში ჩაფრები და ჯარიც კი ჩააყენეს. პოლიცია იცავდა საგურამოში ილია ჭავჭავაძისა და სხვა მემამულეების (მაგალითად, დიმიტრი სტაროსელსკის) სახლებს. 1905-1906 წლებში ხელისუფლებამ დამსჯელი ექსპედიციები აამოქმედა. სამხედრო-სავლელ ტრიბუნალებმა მემამულეთა მკვლელობის მონაწილე ბევრი გლეხი სიკვდილით დასაჯეს, გლეხების ნაწილი ციხეებში გამოკეტეს და შემდეგ ციმბირში გადაასახლეს. 1906 წლის მიწურულისათვის ხელისუფლებამ თითქმის სრულიად აღადგინა კონტროლი სასოფლო რაიონებზე, დარჩა მხოლოდ რამდენიმე რაიონი, სადაც ჯერ კიდევ აფარებდნენ თავს ჩვეულებრივ მკვლელებად და ყაჩაღებად ქცეული ყოფილი წითელრაზმელები. მემამულეთა მკვლელობაში

ბრალდებული გლეხები, რომლებიც ხელისუფლების მსჯავრს გადაურჩნენ, სოფლებიდან გაიქცნენ (მათმა ნაწილმა თავი ირანს შეაფარა).

1907 წელს, მით უფრო წლის მეორე ნახევარში, აგრარულ ნიადაგზე მემამულეების მკვლელობები შემცირდა. 1907 წლისათვის ილიამაც გლეხებთან ძველი, ტრადიციული ურთიერთობა აღადგინა. 1907 წელს ილიასა და გლეხებს შორის ურთიერთობა სერიოზულად არ დამაბულა, რადგან ამის მიზეზი არ არსებობდა. მუქარის წერილები, რომლებსაც ილია თითქოსდა გლეხებისაგან იღებდა, სინამდვილეში გლეხებს არ ეკუთვნოდა და ისინი სოციალ-დემოკრატიების მიერ იყო შეთხზული. ხმები იმის შესახებ, რომ ილიას მალე მოკლავდნენ, ასევე სოციალ-დემოკრატებმა გაავრცელეს. 1907 წლის 1 სექტემბერს გამომძიებელმა ნიკოლაი ილიაშენკომ დაკითხა ილია ჭავჭავაძის ბიძაშვილი ზაალ ჭავჭავაძე, რომელიც იმ საბედისწერო დღეებში ილიასთან სტუმრობდა საგურამოში. ჩვენებაში ვკითხულობთ: „მე არა მაქვს საფუძველი დავუშვა, რომ თავად ილიას მკვლელობა ჩაიდინეს გლეხებმა და ეს მკვლელობა საერთოდ აგრარულ ურთიერთობათა საფუძველზე მოხდა. ალბათ, უფრო საფიქრებელია, რომ თავადი ილია მოკლეს ადამიანებმა, რომლებიც ეკუთვნოდნენ ან მიაჩნდათ, რომ ეკუთვნოდნენ ცნობილ პოლიტიკურ პარტიას (ზაალ ჭავჭავაძე აქ გულისხმობს სოციალ-დემოკრატებს – ვ. გ.). საქმე ისაა, რომ წელიწად-ნახევრის წინათ თავად ილიას სდევნიდა ქართული პრესა (ეს იყო მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პრესა – ვ. გ.) და ისეთ რამეებს წერდა, რასაც შეეძლო მის წინააღმდეგ იმ ხალხის ამხედრება, რომლებიც უკიდურესი მიმართულებისანი არიან, ვერ ერკვევიან მიზნის მიღწევის საშუალებებში და ანგარიშს ვერ უწევენ თავიანთ მოქმედებას (...). ასევე არ შემიძლია დავუშვა, რომ მკვლელობა ჩაიდინა ვინმე შინაურმა, რომელიც ახლო იყო განსვენებულთან და საფუძველი ჰქონდა მასზე უკმაყოფილო ყოფილიყო” (შუმანაშვილი 1996: 90).

ბუნებრივად ისმის კითხვა: თუ ილია გლეხებმა არ მოკლეს 1905-1906 წლებში, როცა ბევრი მემამულე გამოასალმეს სიცოცხლეს და როცა მემამულის მკვლელობა

ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რატომ ჩაიდინეს ეს 1907 წლის აგვისტოში, როცა მემამულეებზე თავდასხმები ძირითადად შეწყდა და მკვლელებს სასჯელისაგან თავის დახსნის ნაკლები შანსი ჰქონდათ? 1905-1906 წლებში მემამულის მკვლელობას მიზეზი არ უნდოდა, კლავდნენ იმიტომ, რომ მემამულე იყო. მთელი გლეხოზა აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1907 წლის ზაფხულისათვის ვითარება კარდინალურად შეიცვალა. გლეხოზა დარბეული, წელში გატეხილი და, რაც მთავარია, დაშინებული იყო. საგურამოში გლეხების მიერ დამოუკიდებლად, პროვოცირების გარეშე, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზება ძნელად სავარაუდოა. გლეხების ორგანიზებაში გადამწყვეტი როლი სოციალ-დემოკრატებმა შეასრულეს. თბილისის გუბერნატორი ილიას მკვლელობის მიზეზად გლეხოზის აღშფოთებას კი არ ასახელებდა, არამედ მიიჩნევდა, რომ გლეხები სოციალ-დემოკრატებმა წააქეხეს. 1907 წლის 1 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით პეტერბურგში, იმპერატორის კანცელარიაში, გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნულია: „სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით“ (გუგუშვილი 1936: 41-42; შუშანაშვილი 1996: 86).

ამრიგად, აგრარულ ნიადაგზე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსია საფუძველს მოკლებულია.

მესამე ვერსია – მკვლელობა სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით. სომეხი ნაციონალისტების დაკვეთით მკვლელობის ვერსია, ანუ ვერსია ეროვნული შუღლის ნიადაგზე მკვლელობის თაობაზე, სოციალ-დემოკრატებმა შეთხზეს. სავარაუდოა, რომ ამ ვერსიის ჩამოყალიბებასა და გავრცელებაში კავკასიის სამეფისნაცვლოს ადმინისტრაცია არ მონაწილეობდა, თუმცა ვერსია მას ხელს ამღევდა.

ცნობილია, თუ რაოდენ დიდი აღშფოთება მოჰყვა სომეხ ნაციონალისტთა შორის ილიას „ქვათა ღაღადს“ (1899 წ.). ილიას მკვლელობის სომხური ვერსიის შემთხზველი სწორედ ამ ფაქტით სპეკულირებდა. ილიას მკვლელობის სომხური ვერსიით გამოძიების არასწორ გზაზე დაყენება მკვლელობის თანამონაწილის, ილიას მეეტლის, თედო

ლაბაურის, საშუალებით სცადეს. 1907 წლის 3 სექტემბერს ნიკოლაი ილიაშენკომ დაკითხა თევდორე (თედო) ლაბაური. ტერორისტების შესახებ, რომელთაც ილიას ეტლი გააჩერეს, მეეტლემ ასეთი ჩვენება მისცა: „შესახედაობით მომეჩვენა, სომხები უნდა ყოფილიყვნენ... ისინი რუსულად ლაპარაკობდნენ. თუმცა რუსული არ ვიცი, მაგრამ აქცენტით ვატყობ, სუფთად ლაპარაკობენ თუ არა. მომეჩვენა, რომ ეს ხალხი ლაპარაკობდა ისეთი აქცენტით, როგორითაც სომხები რუსულს ლაპარაკობენ (გუგუშვილი 1936: 48, 51; შუმანაშვილი 1996: 107-108).

სომეხი ნაციონალისტების მიერ ილიას მკვლელობის ვერსია მაშინვე სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნია ვაჟა-ფშაველამ და ხალხს მოუწოდა, არ აჰყოლოდა პროვოკატორებს.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სომხური ვერსიაც სრულიად უსაფუძვლოდ უნდა მივიჩნიოთ.

მეოთხე ვერსია – მკვლელობა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით. რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით მკვლელობის ვერსიაც, ანუ პოლიტიკური მკვლელობის ვერსია, სოციალ-დემოკრატებმა შეთხზეს. ამ ვერსიის მიზანს შეადგენდა რუსეთის იმპერიის ხელისუფლების კომპრომეტაცია, ხელისუფლებისა და საზოგადოების დაპირისპირება, გამოდიების შეცდომაში შეყვანა. სოციალ-დემოკრატების მიერ გავრცელებული ხმების მიხედვით, იმპერიის ხელისუფლების მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გადაწყვეტილების მიღება განაპირობა მის მიერ სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნამ. ეს ვერსია ისევე უსუსურია, როგორც ზემოთ განხილული სხვა ვერსიები. ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს: 1. სახელმწიფო საბჭოში იმპერიის კანონით გათვალისწინებული სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხი არ იხილებოდა. იხილებოდა სამხედრო-საველე სასამართლოებისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლების ჩამორთმევა; 2. სამხედრო-საველე სასამართლოებისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლების ჩამორთმევას მხარს უჭერდნენ ცნობილი რუსი იურისტები და პოლიტიკოსები.

ილია ჭავჭავაძეს ეს საკითხი პირველს არ დაუყენებია და არც ამ მოძრაობის ლიდერად ითვლებოდა. საკითხი ძალზე მწვავედ იდგა. იმპერატორ ნიკალაი II-ს სთხოვეს, თუ სამხედრო-საველე სასამართლოებს სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლებას არ ჩამოართმევდა, მაშინ მსჯავრდებულისათვის განაჩენის გასაჩივრების უფლება მაინც მიეცათ. იმპერატორმა თავისი უარი ასე განმარტა: „ეს ხომ შურისძიება იქნებაო“. რას გულისხმობდა იმპერატორი ამ სიტყვებში, მთლად ნათელი არ არის, ცხადია, მხოლოდ ის, რომ ნიკოლაი II არათუ სამხედრო სასამართლოებს სიკვდილით დასჯის განაჩენის უფლებას ჩამოართმევდა, არამედ განაჩენის გასაჩივრებასაც კი არ დაუშვებდა.

ილია ჭავჭავაძე რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში ქართველი ერის ინტერესებს იცავდა, ეს საყოველთაოდაა ცნობილი. სახელმწიფო საბჭოში თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ილიას ისეთი არაფერი უთქვამს ან გაუკეთებია, რომ ხელისუფლებას იგი მიუღებლად და, მით უმეტეს, საშიშად მიეჩნია. ილია ტიპური ლიბერალ-დემოკრატი იყო, მისთვის უცხო გახლდათ ყოველივე რადიკალური და ექსტრემისტული. სახელმწიფო საბჭოში ილიას გამოსვლები სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ამ გამოსვლებს ხელისუფლების მხრიდან რაიმე პროტესტი არასოდეს მოჰყოლია.

ილია ჭავჭავაძე მართლაც ემზადებოდა იმისათვის, რომ სახელმწიფო საბჭოში სიტყვით გამოსულიყო და სამხედრო-საველე სასამართლოებისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის უფლების ჩამორთმევა მოეთხოვა. ილიამ თავისი სიტყვის კონსპექტიც მოამზადა (ჭავჭავაძე 1962: 237-238), რომელშიც ვკითხულობთ: „სამი რამ საბუთია წინააღმდეგ სიკვდილით დასჯისა: ა) აჩლუნგებს გრძნობას ბუნებურს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და ხშირის ნახვით კი – ყურიც ეჩვევა და გრძნობაც. მაგ.: ახლა სიკვდილი ისეთი ჩვეულებრივი რამ ამბავია, არავისღა უმღვრევს გულს და ყურადღებასაც არ იქცევს; ბ) არყევს ზნეობას, რადგანაც ართმევს იმას, რისი მიცემაც არ შეუძლიან; გ) შეცდომა დასჯისა აღარ სწორდება და უდანაშაულოს ჰკლავს“. ილიას საბოლოო დასკვნა ასეთია: სიკვდილით დასჯა

„ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე” (ჭავჭავაძე 1962: 237). როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებში არავითარი რევოლუციური და ექსტრემისტული არ არის, არამედ ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის გამოხატულებაა.

სახელმწიფო საბჭოს სხდომათა სტენოგრაფიული ანგარიშებიდან არ ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძეს სიტყვა ეთქვას სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე, არც პრესაში, მათ შორის ოპოზიციურში, იძებნება მსგავსი რამ. ამ ფაქტს პავლე ინგოროყვა ასე ხსნის: „ილიას სიტყვა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ, როგორც ირკვევა, წარმოუთქვამს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე 1907 წლის 17 აპრილს ან 2 მაისს. სახელმწიფო საბჭოს ამ სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები დაიბეჭდა ხარვეზებით, რადგან ამ სხდომებზე წარმოთქმული ზოგიერთი სიტყვის დაბეჭდვა მთავრობას აუკრძალავს. ამ აკრძალულ სიტყვათა შორის ყოფილა, როგორც ირკვევა, ილიას სიტყვაც” (ჭავჭავაძე 1962: 236). მიუხედავად იმისა, რომ პავლე ინგოროყვა განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში, მის დასკვნას ვერ დავეთანხმებით. სანამ არ აღმოჩნდება ილია ჭავჭავაძის მიერ სახელმწიფო საბჭოში წარმოთქმული სიტყვის ტექსტი (სტენოგრამა) ან საგაზეთო ანგარიში მაინც. ამ სიტყვის ტექსტის დადგენის სხვა რაიმე მეთოდი მიუღებელია, მით უმეტეს, რაიმე ვერსიის წამოყენება.

დაბოლოს, რუსეთის იმპერიაში პოლიტიკური მოტივით სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობა ყოვლად წარმოუდგენელი იყო...

ამრიგად, ვერსია რუსეთის იმპერიის ხელისუფლების დაკვეთით ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მეხუთე ვერსია – სოციალ-დემოკრატების მიერ პოლიტიკური მოტივით ორგანიზებული მკვლელობა. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) ხელმძღვანელობამ, რომელიც იმხანად ემიგრაციაში (პარიზში, ჟენევაში) იმყოფებოდა. ტერორისტული აქტის

განხორციელებისთვის საჭირო თანხაც საზღვარგარეთიდან შემოვიდა (საქართველოში არ მოუპოვებიათ), ქილერი ქართველი იყო. რსდმპ თბილისის ან ბათუმის კომიტეტებს ილიას მკვლელობის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღიათ, კომიტეტების სხდომაზე ეს საკითხი არ განხილულა, უფრო მეტიც, რსდმპ თბილისისა და ბათუმის კომიტეტები საქმის კურსშიც კი არავის ჩაუყენებია. ქართველ სოციალ-დემოკრატთაგან მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძე. არცერთი იმხანად რსდმპ თბილისის ან ბათუმის კომიტეტის წევრი არ ყოფილა, ისინი კომიტეტის დავალებით არ მოქმედებდნენ და არც ანგარიშს აბარებდნენ მას.

სოციალ-დემოკრატების მიერ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ვერსია ოფიციალურად თბილისის გუბერნატორმა წამოაყენა 1907 წლის 1 სექტემბერს პეტერბურგში, სახელმწიფო კანცელარიაში, გაგზავნილ დეპეშაში. მასში ვკითხულობთ: „სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით“ (გუგუშვილი 1936: 41-42; შუშანაშვილი 1996: 86). საზოგადოების ნაწილს ამის გარეშეც სჯეროდა, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორები სოციალ-დემოკრატები იყვნენ. დოკუმენტურადაა დადასტურებული, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია ორ ქართველ სოციალ-დემოკრატს: ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს).

4. მონაწილეობდა თუ არა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზებაში გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე?

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ სერგო ორჯონიკიძე ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა შემდეგი მიზეზის გამო: 1905 წლის ზაფხულში სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დახმარებით ევროპიდან საქართველოში დიდი ოდენობით შაშხანები და ტყვიები შემოიტანა. გემი სადღაც ფოთის სიახლოვეს უნდა მოსდგომოდა ნაპირს და იარაღი გადმოეტვირთათ.

ამისათვის მზად იყვნენ გამოცდილი მეთევზეები რამდენიმე ნავით. ძლიერი ღელვის გამო გემი ნაპირს ვერ მოადგა. მეთევზეებმა ნავეები ზღვაში გაიყვანეს, მაგრამ შაშხანებისა და ტყვიების მხოლოდ ნაწილის გადმოტვირთვა შეძლეს. გემის კაპიტანი შეშფოთდა, შეეშინდა, სანაპირო დაცვის სამსახურს გემი არ დაეკავებინა. მან ბრძანება გასცა, დარჩენილი ტყვიები და შაშხანები ზღვაში გადაეყარათ. ნავეებში გადმოტვირთული შაშხანებისა და ტყვიების ნაწილი აფხაზეთში, თავად ალექსანდრე ინალიფას მამულში, გადამალეს. სერგო ორჯონიკიძე არც იარაღის შემოტანასა და არც გადმოტვირთვაში არ მონაწილეობდა, მან შემთხვევით გაიგო გადამალული იარაღის ადგილ-სამყოფელი და მისი სამეგრელოში დაგეგმილ გლეხთა აჯანყებაში გამოყენება გადაწყვიტა. აფხაზეთიდან სამეგრელოში იარაღის გადატანისას ორჯონიკიძე და მისი თანამზრახველები დააპატიმრეს და სოხუმის ციხეში გამოკეტეს. მათი სასამართლო პროცესი 1906 წელს სოხუმში გაიმართა. დაპატიმრებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, 1906 წელს, ციხიდან პატიმართა ერთი ჯგუფი გაიქცა, მათ შორის – სერგო ორჯონიკიძე. როგორც სასამართლო პროცესზე სოხუმის პოლიცმაისტერმა განაცხადა, გაქცეულთა ნაწილი დახოცეს, ნაწილი შეიპყრეს. ორი ტუსადი, სერგო ორჯონიკიძე და ვინმე ლაზი, პოლიციას ხელიდან დაუსხლტა და მიიმალა. სერგო ორჯონიკიძეს განაჩენი დაუსწრებლად გამოუტანეს. ასე რომ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობამდე ერთ წელზე მეტი ხნით ადრე იგი სოხუმის ციხიდან გაიქცა და არალეგალურად ცხოვრობდა. ცხადია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზებაში მონაწილეობა ორჯონიკიძეს თავისუფლად შეეძლო.

5. როგორ დაიგეგმა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) დირექტივა თბილისში ჩამოიტანა პიროვნებამ, რომელიც ეროვნებით ქართველი არ იყო. იგი თბილისის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში პირადად შეხვდა სერგო ორჯონიკიძეს და ფილიპე მახარაძეს. ევროპიდან ჩამოსულმა სოციალ-დემოკრატმა, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის

გადაწყვეტილების გარდა, დამხვდურებს შემდეგი ინსტრუქცია გადასცა:

1. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზებასთან არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონოდა რსდმპ თბილისის ან ბათუმის კომიტეტებს, რადგან არსებობდა ინფორმაციის გაჟონვის საფრთხე. თუ კვალი რსდმპ ამ კომიტეტებზე მივიდოდა, გამჟღავნდებოდა ილიას მკვლელობის დამკვეთი – რსდმპ ცენტრალური კომიტეტი.

ცხადია, ექვი არავის შეეპარებოდა იმაში, რომ ილიას მკვლელობის გადაწყვეტილებას რსდმპ თბილისის კომიტეტი დამოუკიდებლად ვერ მიიღებდა და არც მიიღებდა. ამ დროისათვის რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრები არ ყოფილან: ნოე ჟორდანი, კარლო ჩხეიძე, იოსებ ჯულაშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და სხვა ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატები (სასჯელის მოხდის შემდეგ ნოე ჟორდანი თბილისში 1907 წლის დეკემბერში დაბრუნდა). მოქმედი წესდება ინტელიგენტი სოციალ-დემოკრატის თბილისის კომიტეტში მოღვაწეობას კრძალავდა, კომიტეტის წევრები მხოლოდ მუშები იყვნენ. ასე რომ, მავანის მცდელობა, იპოვოს დოკუმენტი – რსდმპ თბილისის კომიტეტის დადგენილება – ილია ჭავჭავაძის მკვლელობის თაობაზე, წყლის ნაყვას! იგივე უნდა ვთქვათ რსდმპ ბათუმის კომიტეტზედაც.

2. ტერორისტული აქტის მომზადებისათვის საჭირო თანხა საქართველოში არ უნდა მოეპოვებინათ. ამის მიზეზი გახლდათ შემდეგი: ყოველი დანაშაული ტოვებს ფინანსურ კვალს. ჟანდარმერიამ და ოხრანკამ კარგად უწყოდა, რომ სადმე დიდი რაოდენობით ფულის ექსპროპრიაციას უმეტეს შემთხვევაში ტერორისტული აქტი მოჰყვებოდა. მაგალითად, ჟანდარმერიამ დაადგინა, თუ სად და როგორ მოიპოვა რსდმპ თბილისის კომიტეტმა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის, გენერალ ფიოდორ გრიაზნოვისა და საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ორგანიზებისათვის აუცილებელი ფინანსები. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობისათვის საჭირო თანხა არალეგალური გზით ევროპიდან შემოვიდა საქართველოში. მისი შემომტანი ქართველი არ ყოფილა;

3. ილია ჭავჭავაძე პროფესიონალ ქილერს შეეძლო მოეკლა თბილისში, ანდრიას ქუჩაზე მდებარე მის საცხოვრებელ სახლში; სახლიდან სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში ეტლით მიმავალი; თბილისიდან საგურამოში მგზავრობისას და, ბოლოს და ბოლოს, მის საცხოვრებელ სახლში საგურამოში. ასეთი მკვლელობა რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს ხელს არ აძლევდა. ილია უნდა მოეკლათ მასზე აღშფოთებულ გლეხებს, რაც აგრარულ ნიადაგზე მკვლელობის ვერსიას დაუდებდა საფუძველს, ხოლო რსდმპ ცენტრალურ კომიტეტზე ან ქართველ სოციალ-დემოკრატებზე ეჭვს ვერავინ მიიტანდა;

4. სხვადასხვა საშუალებით უნდა გავრცელებულიყო ხმები, რომ ილია ჭავჭავაძეს გლეხებთან კონფლიქტი ჰქონდა და მას მალე მოკლავდნენ.

სერგო ორჯონიკიძემ და ფილიპე მახარაძემ, მიღებული ინსტრუქციის საფუძველზე, ილიას მკვლელობის ვერაგული გეგმა დასახეს. მათ ტერორისტული აქტის განხორციელება მიანდეს არა პროფესიონალ ქილერებს, არამედ – გადაგვარებულ, დემორალიზებულ, კაცის კვლასა და ძარცვაში გარეულ გლეხებს: ივანე (ვანო) სოლომონის ძე ინაშვილს, გიგოლა (გიგლა) პეტრესძე ბერბიჭაშვილს, გიგოლა (გიგო) მოძღვრიშვილს, პავლე გიორგის ძე ფშავლიშვილს (აფციაურს), გიორგი (ლომა) ივანეს ძე ხიზანაშვილს. მათთან ერთად ამ უმძიმეს დანაშაულში მონაწილეობდა ილიას მეეტლე თევდორე (თედო) ლაბაური. მკვლელობის დამკვეთს და მის ორგანიზატორებს, როგორც ვთქვით, აუცილებლად სჭირდებოდათ ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძე მოკლეს გლეხებმა პირადი ინიციატივით შურისძიების მიზნით. გლეხების ჯგუფს სოფელ წიწამურიდან საგურამოსაკენ მიმავალი ეტლი უნდა გაეჩერებინა და ილიას თავს დასხმოდნენ. ამ შემთხვევაში ილიას მოკვლა მთავარი არ იყო, აუცილებელი იყო, რომ გლეხებს ეტლი გაეჩერებინათ, რაც ძიების მიმდინარეობისას დასასამართლო პროცესზე ვინმეს უნდა დაედასტურებინა. ეს ფაქტი კიდევ დაამოწმა თედო ლაბაურმა. მკვლელობის მონაწილე თედო ლაბაური, ცხადია, ამ ფაქტს დაადასტურებდა. თუ

გლეხები ილია ჭავჭავაძეს მოკლავდნენ, ხომ კარგი, თუ არა, სერგო ორჯონიკიძეს და ფილიპე მახარაძეს წიწამურიდან საგურამოსაკენ მიმავალ გზაზე, ტყეში, ეტლის გაჩერების სავარაუდო ადგილიდან რამდენიმე ათეული მეტრით უკან, გზის მარცხენა მხარეს, პროფესიონალი ქილერი ჰყავდათ ჩასაფრებული. ქილერმა ზუსტად იცოდა, სად გააჩერებდნენ ეტლს გლეხები, გლეხებმა კი მის შესახებ არაფერი უწყოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ტერორისტულ აქტში მონაწილეობაზე უარს იტყოდნენ. თუ რაიმე შემთხვევის გამო გლეხების მიერ ილია ჭავჭავაძის მოკვლა შეფერხდებოდა (გზაზე მგზავრების, ურმების, მენახშირეების, ჩაფრების ან კაზაკების გამოჩენა და სხვ.), საქმე ტყეში ჩასაფრებულ პროფესიონალ ქილერს უნდა დაესრულებინა. მოვლენათა ასეთი განვითარების შედეგად ექვი არავის შეეპარებოდა, რომ ილია ჭავჭავაძე გლეხების შურისძიების მსხვერპლი აღმოჩნდა, ანუ იგი მოკლეს იმ გლეხებმა, რომლებიც ეტლს გადაუდგნენ წინ.

6. 1907 წლის 30 აგვისტო

1907 წლის 19 სექტემბერს გამომძიებელმა ნიკოლაი ილიაშენკომ დაკითხა ილიას მეუღლე ოლღა ჭავჭავაძე. აი, რა უჩვენა მან: „30 აგვისტოს, დილის 9-10 საათზე, ზუსტად არ მახსოვს, მეუღლესთან, თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძესთან ერთად, საკუთარი ეკიპაჟითა და ცხენებით თბილისიდან გავედით. მივყავდით მეეტლე თედოს, რომლის გვერდით კოფოზე ჩვენი მსახური იაკობი იჯდა. იმ დღეს ძლიერ ქროდა, განსაკუთრებით დიდმის ველზე. ქუდი დავკარგე და თავზე ლაბადა წამოვიხურე. გზაზე ორჯერ-სამჯერ გავჩერდით. უკანასკნელად სოფ. წიწამურთან ახლოს, დუქნებთან ცხენებს წყალი დავალევინეთ. შემდეგ რა დაგვემართა, არაფერი არ მახსოვს, ვინ დაგვესხა, რამდენი იყვნენ, რა ეცვათ, როგორ მივიღე დაზიანებები, ჩემს მეუღლეს რა დაემართა, არაფერი არ ვიცი” (გუგუშვილი 1936: 65; შუშანაშვილი 1996: 134);

ოლღა ჭავჭავაძის ჩვენება პრაქტიკულად არაფერს გვამღვს იმ მომენტიდან, როდესაც წიწამურის

დუქნებთან შესვენების შემდეგ თედო ლაბაურმა ეტლი საგურამოსაკენ დამრა. მაშასადამე, ვერ ვიგებთ მთავარს: წიწამური-საგურამოს გზაზე ვინ გადაუდგა ეტლს წინ და რა მოხდა ამის შემდეგ. ეს იმით იყო განპირობებული, რომ თავდამსხმელებისაგან ნაცემი და მომხდარისაგან მძიმე ფსიქოლოგიურ შოკში მყოფი ილიას მეუღლე, პრაქტიკულად, ვერაფერს იხსენებდა.

სამაგიეროდ, ბევრი დეტალი გაიხსენა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ერთ-ერთმა მონაწილემ, მეორე ცოცხალმა მოწმემ, საგურამოს მცხოვრებმა, მეეტლე თედო ლაბაურმა, რომელმაც 1907 წლის 3 სექტემბერს ნიკოლაი ილიაშენკოს პირველი ჩვენება მისცა: „თბილისიდან საგურამომდე 3 საათის სავალია. მცხეთის დუქნებს რომ ჩავუარეთ, 4 ურემს გავასწარი, ფაეტონში თავადი და კნეინა ისხდნენ, პირველი მარცხნივ იჯდა, მეორე – მარჯვნივ. კოფოზე, ჩემ გვერდით, მსახური იაკობი იჯდა. მას რევოლვერიც ჰქონდა, ცენტრალური დარტყმის თოფი, რომელიც მეზადისათვის მოგვქონდა. გავუსწორდით თუ არა ხატის ნიშს, რომელიც გზაზეა საგურამოდან 4 ვერსის მოცილებით, მარჯვენა მხრიდან ბუჩქებიდან გზის ნაპირას გამოვიდა 4 კაცი და დამიყვირეს „შეჩერდიო“. მათ ეცვათ დიდი ჩექმები, თეთრი ქურთუკები ოფიცრის პაგონებით, თეთრი ბოხოხები ეხურათ. შესახედავად ერთი იქნებოდა 28, მეორე – 29, მესამე – 32 და მეოთხე 33 წლის. ყველა იყო შავგვრემანი. ამასთან, ორს ჰქონდა წვერი და ულვაშები, ორს კი – მხოლოდ ულვაშები. ერთს ჰქონდა ძალზე პატარა ულვაში. მხოლოდ ერთი იყო საშუალო ტანის, დანარჩენები მაღლები იყვნენ. შესახედაობით მომეჩვენა, სომხები უნდა ყოფილიყვნენ. პირველს ხელში თოფი ეჭირა. ამასთან, ორს ჰქონდა ბერდანი, ერთს – ცენტრალური დარტყმის, ხოლო უკანასკნელს – ფისტონიანი თოფი. როგორც კი გაისმა „შეჩერდიო“, თავადმა მხოლოდ ორი სიტყვა მითხრა: „ჩქარა გარეკეო“. გავრეკე ცხენები, მაგრამ პირველი, ნაპირა, სუსტი იყო, ცუდად მიდიოდა, რის გამოც ოთხმა კაცმა, რომლებიც გამოგვეკიდნენ და ეკიპაჟის მარჯვნივ მორბოდნენ, გადაასწრეს ცხენებს, აღვირში ჩაავლეს ხელი და გააჩერეს. ამის შემდეგ ერთი მათგანი მოვიდა მარჯვენა მხრიდან და კოფოდან გადმომაგდო. როდესაც დავეცი, მან თოფი მკრა

გვერდში, მაგრამ მსუბუქად, უფრო მეტად მოხვდა ხალათს, რომელიც ზედ მეცვა. სწორედ ამ დროს იაკობი კოფოდან ჩამოხტა, გზა გადაირბინა მარცხნივ და ბუჩქებში შევიდა. მაშინვე სამმა თავდამსხმელმა, რომლებიც ჯერ კიდევ ცხენებთან იყვნენ, მიატოვეს ისინი და ეკიპაჟს მარცხნიდან შემოუარეს. ამასთან, ერთი მათგანი იაკობს გამოეკიდა. ვინც მე კოფოდან გადმომაგდო, იმანაც შემოუბრინა ცხენებს და ფაეტონის მარცხენა მხარეს აღმოჩნდა. მიწაზე დაცემისთანავე წამოვდექი და იმავე ადგილას ვიდექი. როგორც კი თავდამსხმელები ეკიპაჟის მარცხენა მხარეს აღმოჩნდნენ, გაისმა სროლის ხმა. გაისროლა ერთ-ერთმა იმათგანმა, რომელსაც ბერდანი ეჭირა და ესროლა პირდაპირ მჯდომ თავადს 5 ნაბიჯის მანძილიდან, წინიდან და გვერდითა მხრიდან. თავადი, არ ვიცი, რატომ, იმ წუთშივე ფაეტონიდან გზაზე გადმოვარდა” (გუგუშვილი 1936: 48-49; შუშანაშვილი 1996: 106-107).

თედო ლაბაური, როგორც აღვნიშნეთ, მკვლელობის მონაწილეა და მის მიერ 1907 წლის 3 სექტემბერს მიცემული ჩვენება სიმართლეს არ შეეფერება. ილიას მკვლელობის ორგანიზატორებისაგან თედო ლაბაური, ჩანს, გაფრთხილებული იყო, სიმართლე დაემალა და თანაც ისეთი ტყუილი ეთქვა, რომელიც გამოძიებას დააბნევდა და არასწორ გზაზე დააყენებდა. წერა-კითხვის უცოდინარი თედო ლაბაური არც ისე უვიცი აღმოჩნდა, მან ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა მკვლელობის ორგანიზატორების მითითება: 1. მეეტლის ჩვენების მიხედვით, გზის მარჯვენა მხარეს ტყიდან გამოსულ 4 ადამიანში, რომელთაც ეტლი გააჩერეს, თითქოს მან ვერავინ ამოიცნო; 2. ლაბაურმა დაწვრილებით აღწერა ილიას თავდასხმის მონაწილეთა ჩაცმულობა (ჩექმები, თეთრი კიტელი ოფიცრის სამხრეებით, თეთრი ბოხოხი); განსაზღვრა ასაკი (პირველი – 28 წლისა, მეორე – 29 წლისა, მესამე – 32 წლის, მეოთხე – 33 წლისა); დაიმახსოვრა კანის ფერი (შავგვრემანი); დაიმახსოვრა მკვლელების სახის აღწერილობა (ოთხი მკვლელიდან ორს წვერი და ულვაში ჰქონდა, დანარჩენ ორს – მხოლოდ ულვაში, ორი ულვაშიანიდან ერთს მცირე ზომის ულვაში ჰქონია); ახსოვდა ოთხივე თავდამსხმელის სიმაღლე (ერთი საშუალო სიმაღლისა ყოფილა, სამნი – უფრო მაღლები).

მკვლევების გარეგნული სახე (ჩაცმულობა, წვერ-ულვაში, ასაკი, სიმაღლე) თედო ლაბაურმა ისე წარმოადგინა, რომ არავითარი მსგავსება არ იყო თავდამსხმელებთან, გიგოლა (გიგლა) ბერბიჭაშვილთან, ივანე (ვანო) ინაშვილთან, გიგოლა (გიგო) მოძღვრიშვილსა და პავლე ფშავლიშვილთან (აფციაურთან). ეს მთავარი კიდევ არ იყო, გამოძიების დაბნევის მიზნით თედო ლაბაურის ჩვენებაში ორი მომენტი უფრო საყურადღებო: 1. მეეტლე აცხადებდა: „როგორც კი თავდამსხმელები ეკიპაჟის მარცხენა მხარეს აღმოჩნდნენ, გაისმა სროლის ხმა. გაისროლა ერთ-ერთმა იმათგანმა, რომელსაც ბერდანა ეჭირა და ესროლა პირდაპირ მჯდომ თავადს 5 ნაბიჯის მანძილიდან, წინიდან და გვერდითა მხრიდან” (გუგუშვილი 1936: 49; შუშანაშვილი 1996: 107-108); 2. მეეტლე ზუსტად მიაწვდის: ეტლიდან რომელ მხარეს იდგა და რა მანძილიდან ესროლა ოთხიდან ერთმა თავდამსხმელმა და რომელი იარაღიდან ესროლა ილიას. ეს იყო ის უმთავრესი, რაც ილიას მკვლელობის ორგანიზატორების დავალებით თედო ლაბაურს გამოძიებლისათვის უნდა ეთქვა. თედო ლაბაურის ჩვენების ამ ადგილით გამოძიება ვერაფერს შეიტყობდა იმ ქილერის შესახებ, რომელმაც ჩასაფრების ადგილიდან ილიას ზურგში ესროლა. ცხადია, ლაბაურმა არაფერი უწყოდა დამოუკიდებლად მოქმედი ქილერის შესახებ, მაგრამ მან ხომ კარგად დაინახა, რომ ოთხიდან არცერთ თავდამსხმელს ილიასათვის არ უსვრია. ამას თედო ლაბაური ვერ იტყოდა, რადგან ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორებს სჭირდებოდათ დადასტურებული ფაქტი: ეტლი გააჩერა ტყიდან გამოსულმა ოთხმა გლეხმა, რომელთაც მოკლეს კიდევ ილია ჭავჭავაძე;

თედო ლაბაური, ერთი შეხედვით, კარგად მომზადებული იყო ცრუ ჩვენების მისაცემად. მიუხედავად ამისა, ნიკოლაი ილიაშენკოს შეეძლო მოწმის ცრუ ჩვენების მიცემაში მხილება, რაც გამოძიებელმა არ ინდომა. გამოძიებლის საქმე ისევ თედო ლაბაურმა გააკეთა. 1907 წლის 16 ნოემბერს ნ. ილიაშენკომ მეხუთედ დაკითხა თედო ლაბაური. ილიას მეეტლემ ჩვენება შეცვალა და ისიც ახსნა, თუ რატომ იცრუა პირველი ჩვენების მიცემისას. აი, რა თქვა მან: „ოჯახის განადგურების შიშით დღემდე ვერ

ვბედავდი სრული სიმართლე მეთქვა, როგორ მოკლეს თავადი ი. გ. ჭავჭავაძე და ვინ არიან მკვლელები. ამჟამად კი, მუქარის მიუხედავად, გადავწყვიტე ყველაფერი ვთქვა. სოფელ წიწამურს როცა გამოვცდით, საფარიდან პირველი გადმოხტა გიგოლა ბერბიჭაშვილი. ეს ის არის, ვისზეც ადრე ვამბობდი, სამხედრო ზეგარას ერთად ვიხდიდით-მეთქი. ბერბიჭაშვილმა დამიყვირა გაგზერებულიყავი, განსვენებულმა თავადმა კი მიბრძანა ცხენები გამერეკა. გავრეკე, მაგრამ იმის გამო, რომ ცხენები დადლილები იყვნენ და გზაც ტალახიანი იყო, ბოტორგანზრახველებმა მოასწრეს წინიდან გადადგომა და ცხენები გააჩერეს. ბერბიჭაშვილი წინ გადაუხტა ცხენებს და მეორე მხარეს გადავიდა. ამ დროს მსახური იაკობი, რომელსაც ეტყობა, შეეშინდა, კოფოდან გადმოხტა და არაგვის მხარეს ბუჩქებისაკენ გაიქცა. ხელში მას თოფი ეჭირა. გაეკიდა თუ არა ვინმე იაკობს და, სახელდობრ, ვინ, ვერ შევამჩნიე, რადგანაც, ჩამოხტა თუ არა იგი კოფოდან, ბერბიჭაშვილმა თავადს ესროლა. ეს იყო პირველი გასროლა. თავადი მაშინ ფაეტონში იჯდა და დავინახე, რომ გასროლის შემდეგ გზაზე გადმოვარდა. ვილაცამ, ვერ ვისხენებ, სახელდობრ, ვინ, კნეინას მხარეს გადაირბინა. ვიმეორებ, არ დამინახავს, როგორ ურტყამდნენ მას თავში, მაგრამ თავი რომ ჩამტვრეული ჰქონდა, ეს მახსოვს. ჩემი აზრით, ოთხი გასროლა მოხდა, მაგრამ ვერ გეტყვით, ბერბიჭაშვილის გარდა, კიდევ ვინ ისროლა. ვიმეორებ, იაკობი როგორ მოკლეს, არ მინახავს და არც ის ვიცი, თვითონ მან გაისროლა თუ არა. თავადის მოკვლის შემდეგ დავინახე, რომ ისიც და კნეინაც ბერბიჭაშვილმა და ინაშვილმა გაძარცვეს. კნეინას ყელსაბამი შეხსნეს, როცა ის ჯერ კიდევ ფაეტონში იჯდა. შემდეგ როგორ აღმოჩნდა იგი გზაზე თავადის გვერდით, ესე იგი, სადაც იჯდა, იმის საწინააღმდეგო მხარეს, ვერ გეტყვით, გადმოათრიეს თუ თვითონ გადმობოზდნენ, არ შემიმჩნევია. როცა ყველაფერი დამთავრდა, თავდამსხმელები მომიბრუნდნენ და მითხრეს, როცა შეგეკითხებიან, თქვი, თავდამსხმელებს ოფიცრის ტანსაცმელი ეცვათ და თავზე ბოხოხები ეხურათო. თუ ვიტყოდი, ჩოხებში და ყაბალახებში რომ იყვნენ, შემპირდნენ, სახლს დაგიბრუნებო და მთელ ოჯახს, დედას და ორ ძმას, ამოგიწყვეტო. შემდეგ მათ ნაძარცვი ნივთები წაიღეს

და უკან, ესე იგი წიწამურისაკენ, წავიდნენ და საიდანაც გადმოხტნენ, იმ ადგილას ტყეში გაუხვიეს. როგორც უკვე გითხარით, თავდამსხმელთა შორის იყვნენ ფშავლიშვილი და ახატნელი (გიგოლა ბერბიჭაშვილი – ვ. გ.), რომლის სახელსაც არ ვამბობდი. ახლა დანარჩენ ორსაც ვასახელებ, რადგანაც, როგორც თავიდანვე ვთქვი, სულ ოთხნი იყვნენ. მესამე იყო სოფ. ახალსოფლის ყოფილი მამასახლისი ვანო ინაშვილი და მეოთხე – გიგო მოძღვრიშვილი, რომელიც საგურამოში ჩვენთან ერთად თავადთან მსახურობდა (გუგუშვილი 1936: 71-73; შუმანაშვილი 1996: 160-161).

ამრიგად, თედო ლაბაურმა მეხუთე ჩვენებაში დაასახელა ილიაზე თავდასხმის მონაწილენი: გიგოლა (გიგლა) ბერბიჭაშვილი, ივანე (ვანო) ინაშვილი, პავლე ფშავლიშვილი (აფციაური), გიგოლა (გიგო) მოძღვრიშვილი. ოთხივე ადგილობრივი გლეხი იყო. ეს აღიარება ხელს აძლევდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზატორებს, რადგან სოციალ-დემოკრატების მიერ განხორციელებული შეკვეთილი პოლიტიკური მკვლელობა არ გამჟღავნდებოდა და გამოდიოდა მკვლელობის აგრარულ ვერსიას გაჰყვებოდა. ეს ვერსია ხელს აძლევდა კავკასიის სამეფოსნაცვლოს ადმინისტრაციას, ძალოვან სტრუქტურებსა და სპეცსამსახურებს.

თედო ლაბაურის 1907 წლის 16 ნოემბრის მეხუთე დაკითხვიდან შესაძლებელია რამდენიმე დასკვნა გავაკეთოთ: 1. ილიას მეეტლე შეთქმულების მონაწილე იყო. მის ერთადერთ ფუნქციას შეადგენდა თავდამსხმელების ტყიდან გამოსვლის მომენტისათვის ეტლის გაჩერება. ეს დავალება თედომ ზუსტად შეასრულა; 2. ტყიდან გამოსულ თავდამსხმელებს დიდი ძალისხმევა არ დასჭირვებიათ, ისე აღმოჩნდნენ ეტლის წინ, რაც თედო ლაბაურის დამსახურება იყო; 3. თედო ლაბაური თავს იმართლებდა, თუ რატომ არ შეასრულა ილიას ბრძანება, ეტლი სწრაფად გაექანებინა. ერთხელ მან აღნიშნა, რომ ერთი ცხენი სუსტი იყო, რამაც შეუძლებელი გახადა ეტლის გაქანება, მეორედ უკვე სხვა მიზეზი დაასახელა: ღვედი ძველი იყო და გაწყდაო, მესამედ მოიგონა: ცხენები დაღლილი იყვნენო. არადა, დადასტურებულია, რომ ილიამ და ოლღამ წიწამურის დუქნებთან შეისვენეს, ისეირნეს კიდეც, ცხენებს წყალი

დააღვეინეს. შესვენებიდან სულ ცოტა ხანში რატომ უნდა დაღლილიყვნენ ცხენები? 4. თედო ლაბაურმა კარგად იცოდა, რომ იაკობ ბითარიშვილმა კოფოდან გადახტომის შემდეგ გაისროლა და გიგოლა ბერბიჭაშვილი ფეხში (ქუსლში) დაჭრა, მეეტლემ ეს ფაქტი დამალა, დამალა იმიტომ, რომ თავდამსხმელების ძებნისას ჩვენების ეს ნაწილი შეიძლებოდა პოლიციას გამოეყენებინა.

გამოყენებული ლიტერატურა

გუგუშვილი 1938: პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. საგამომძიებლო მასალები. თბილისი, 1938.

შარაძე 1990: გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე. 1837-1907. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, ფოტომატიანე. ორ წიგნად, წიგნი II. თბილისი, 1990.

შუშანაშვილი 1996: ალ. შუშანაშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. თბილისი, 1996.

ჭავჭავაძე 1962: ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი. სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი V, თბილისი, 1962.

Vakhtang Guruli

ASSASSINATION OF ILIA CHAVCHAVADZE

Summary

On August 30, 1907, near the village of Tsitsamuri approximately 3.5–4 versts from Saguramo during a trip from Tbilisi to the village of Saguramo member of the State Council of the Russian Empire Ilia Chavchavadze was assassinated. The assassination was a well-planned political action. It was initiated by the Central Committee of the Russian Social Democratic Labor Party and organized by the Georgian Social Democrats Grigol (Sergo) Orjhonikidze and

Filipe Makharadze. They came up with a very insidious plan. The key point of the plan was that Ilia Chavchavadze was to be killed by local peasants, presumably for the purpose of robbery or for hostile motives. This would cover up the real political motive of the assassination. A specially selected group of local peasants: Gigola (Gigla) Berbichashvili, Gigola (Gigo) Modzghvishvili, Pavle Pshavlishvili (Aphtsauri) and Ivane (Vano) Inashvili were to stop the carriage on the road to Saguramo and kill Ilia. Ilia's coachman Tevdore (Tedo) Labauri was also part of the murder team. He had to stop the carriage. Another peasant Giorgi (Loma) Khizanishvili was instructed to stand on a wooded hill and blow a whistle to signal the approach of the cart to those in ambush.

Sergo Orjonikidze and Filip Makharadze did not fully trust aforementioned perpetrators. They feared that if the police, Cossacks or ordinary travelers passed by, the perpetrators would become frightened, abandon the stopped carriage and run away. In this case Ilia Chavchavadze was to be killed by a professional killer who was supposed to sit in ambush in the forest several dozen meters from the place where the carriage was supposed to be stopped. Although the four perpetrators managed to stop the carriage, an unplanned event occurred. Ilia's bodyguard Iakob Bitarishvili jumped out of the carriage and shot Berbichashvili in the foot. Iakob ran to the left side of the road where he could hide in the bushes and fire at the perpetrators. The peasants quickly recognized his intentions, caught up with him and killed him. At this moment Ilia had already stood up. The aforementioned killer fired a shot from behind. The shot proved fatal. The killer left the scene unnoticed. The attackers never knew of his presence. Upon returning to the carriage they discovered Ilia Chavchavadze already dead.

ეთერ ორმოცაძე-მახარაძე

ვასილ წერეთლის ერთი ნაშრომის შესახებ

ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდი და შინაარსიანი დარგი ფილოსოფია საქართველოში ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში ჩაისახა და განვითარების უმაღლეს მწვერვალს იოანე პეტრიწის ეპოქაში მიაღწია. ქართულ ენაზე ამ პერიოდში უმდიდრესი ფილოსოფიური მემკვიდრეობა შეიქმნა. ბერძნულიდან თარგმნეს წიგნები, შეთხზეს ორიგინალური შრომები, სტატიები და ტრაქტატები, რომელთაც დიდად განავითარეს ქართული ფილოსოფიური აზროვნება. ამ დროს მოღვაწეობდნენ: ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი (პეტრიწი იოანეს ზედწოდებაა), რომელმაც თავისი განსაკუთრებული სიტყვა თქვა ძველი ქართული მწერლობის ყველა დარგში. ქართული ფილოსოფიური ლიტერატურის ფუძემდებლისა და მამამთავრის, ქართული ფილოსოფიის ზევსის ვინაობისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ არაერთი ავტორი წერს, მაგრამ ერთ-ერთი სანდო წყარო ეკუთვნის ანტონ ბაგრატიონს, რომელმაც პეტრიწი თავის მოძღვრად – „ბრძენთა შორის უბრძენესად“ გამოაცხადა. XVIII საუკუნის სხვა მწერლები და გადამწერნი იოანეს უწოდებდნენ „ქართველთა მზეს“, „ყოვლად ბრძენს“, „ენისა ჩვენისა მამა-ზევს“, „დიდ იოანეს“, „პლატონის ფილოსოფოსს“ ან „პლატონის თანამოსაყდრეს“.

იოანე პეტრიწმა კარგად იცოდა ბერძნული ენა და ის არა მხოლოდ წერდა ქართულ ორიგინალურ შრომებს, არამედ თარგმნიდა კიდევ. იოანე პეტრიწის შემოქმედება ჯერ მთლიანად შესწავლილი არ არის. მისი შრომების ერთი ნაწილი დაკარგულია. გამოცემულ შრომათაგან უნდა დავასახელოთ ერთ-ერთი – ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, რომლის თარგმანიც შეასრულა პეტრიწმა. სხვა თხზულებები ხელნაწერებადაა დაცული ქართულ სიძველეთსაცავებში.

ნემესიოს ემესელი ბერძენია. ის IV საუკუნის II ნახევარში ცხოვრობდა. იყო ქრისტიანი. ეწეოდა სხვადასხვა საქმიანობას. ჯერ მჭევრმეტყველებას ასწავლიდა, ვექილადაც მუშაობდა. იყო კაპადოკიის პრეფექტი, საბოლოოდ კი ეპისკოპოსად განწესდა ქ. ემესაში. მიღებული ჰქონდა როგორც სასულიერო, ისე საერო განათლება. წერდა წიგნებს. მისი „ბუნებისათვის კაცისა“ ძველად ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა ადამიანის ბუნებისა და მედიცინის საფუძვლების დაუფლებისათვის.

იოანე პეტრიწის მიერ XII საუკუნის დასაწყისში ბერძნულიდან ნათარგმნი ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ ქართულად 1914 წელს გამოსცა ს.რ. გორგაძემ (დაურთო მას ლექსიკონ-სადიებლები). ს. გორგაძე წერს: „არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ იმ ძეგლთა შორის, რომელთაც ჩვენ დრომდე XI-XII საუკუნეებიდან მოუღწევია, არც ერთი არ შეიცავს ისეთ უხვსა და მრავალმხრივს ლექსიკურ მასალას, იმდენს, ერთად თავმოყრილს, მეტაფიზიკურ-ფილოსოფიურს, განსაკუთრებით პსიხოლოგიურს და ანატომიურ ფიზიოლოგიურს, რამდენათმე სამათემატიკო და სხვა სამეცნიერო ტერმინს, რამდენსაც პეტრიწის მიერ ნათარგმნი „ბუნებისათვის კაცისა“ (ნემესიოს ემესელი 1914: 22). ამ წიგნის საფუძველზე შეადგინა ვასილ წერეთელმა „ქართული სამეცნიერო“ და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია...“. ეს წიგნი ქუთაისში დაიბეჭდა 1916 წელს, ქართველთა შორის წიგნის გამავრცელებელი საზოგადოების სტამბაში. გამოსცა გამომცემლობა „ამხანაგობამ“ (თომა მთავრიშვილის გამოცემა). ვასილ წერეთლის ეს წიგნი სულ 48 გვერდს მოიცავს. ის დაცულია თბილისის საჯარო

და სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში (ქართული წიგნი 1941). სასიამოვნო ფაქტია, რომ ვ. წერეთლის „ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია იოანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით“ აღმოჩნდა ასევე ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში. ამ წიგნს აქვს კიდევ მეორე გამოცემა. ისიც ქუთაისშია დაბეჭდილი გამომცემლობა „მერანის“ მიერ 1919 წელს. სტამბა ი.მ. ხელაძისა (18X11). ინახება თბილისის საჯაროში, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ი. გოგებაშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში (ქართული წიგნი 1969).

ვ. წერეთლის აღნიშნული წიგნის 1916 წლის გამოცემის შესახებ არსებობს რ. შამელაშვილის რეცენზია: „ქუთაისში გამოცემული კიდევ ერთი წიგნი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ (1971, 26 მაისი, №105, 3). იმის გამო, რომ წიგნი დაზიანებულია (აკლია მე-16 და მე-17 გვერდები), ლექსიკონში დადასტურდა მხოლოდ 956 განსამარტავი ერთეული, რომლებიც დალაგებულია ანბანზე და ყოველ მათგანს მიწერილი აქვს შესაფერისი სიტყვა. ზოგს რუსულის გარდა ახლავს ახსნა ქართული სიტყვითვე ასე: ბრკე, საფუარი, бродило, ферментъ. აქედან: ბრკებრივი – ферментативный; ბუგრი, შავი ჭირისაგან გაჩენილი მუწუკი, моровая язва; გულისსიტყვა, ფიქრი, აზრი, ნიჭი, размышление, способность мишленія; разумъ, разсудокъ; თანმერგე, მეშველი, помогающий, полезный; აქედან: მარგებელი, სასარგებლო, თვთხელმწიფება, ნების თავისუფლება, самообладание, свобода воля; ქიქება, გაწბილება, შერცხვენა, позорить ...

მეტყველების ნაწილებიდან აქ თითქმის ყველაა წარმოდგენილი. ზმნები შეტანილია მესამე პირის ფორმით.

აქ ვხვდებით არა მარტო ფილოსოფიურ ტერმინებს, არამედ სამედიცინოს, არითმეტიკულს, გეომეტრიულს, ფსიქოლოგიურს, ასტრონომიულს, ფიზიოლოგიურს ... ზოგ სიტყვას მიწერილიც კი აქვს, თუ რომელი დარგისაა ის. „ქართულ სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგიაში“ წარმოდგენილი სიტყვები ცალ-ცალკე გავაანალიზეთ დარგების მიხედვით და გამოირკვა, რომ

ბევრს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და ზუსტად იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც ეს იოანე პეტრიწს უთარგმნია XII საუკუნის დასაწყისში. აი ზოგიერთი: აზრი, არსებითი, განგება, განსჯა, გონება, გონიერება, გრძნობა, კანონი, წესი, მარტივი, სივრცე, უმეცრება, უსრული, ქმნადობა, წარმოდგენა ჭეშმარიტი, კეთილი, ბოროტი, ჯეროვანი, ბედი, განცდა, საწყისი და სხვა კიდევ ბევრი, თუმცა ვასილ წერეთელს იოანე პეტრიწის ნათარგმნიდან სიტყვები ისე წარმოდგენია ლექსიკონში, რომ თავისი პერიოდის ქართულის შესატყვისი ყოფილიყო. ასეთი სიტყვებია: გულის-ხმის-ყოფად – მიხვედრილობა, თვთხელმწიფება – ნების თავისუფლება, მიმოგონება – აზროვნება, მიმოგონებითი – მოაზროვნე, გულის-სიტყვა – ფიქრი, აზრი, ნიჭი, დასაბამი – საწყისი, მნებელობა – ნება, მომხდომი – შემთხვევითი, საგრძნობელი – გრძნობის ორგანო, არსება – სუბსტანცია და სხვა.

აქვე დადასტურდა უამრავი სამედიცინო და სხვა მეცნიერული ტერმინი, რომლებსაც დღესაც შენარჩუნებული აქვს მნიშვნელობა. ამ ტერმინოლოგიიდან კარგად ჩანს მათი წარმომავლობა. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს მეცნიერებაში მრავალგზის გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ქართულში არსებული ფილოსოფიური, სამედიცინო და სხვა სამეცნიერო ტერმინოლოგიის უმეტესი ნაწილი სათავეს საბერძნეთში იღებს და იქიდან არის შესული ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. აი, ეს ტერმინები: არტირია, ბალდამი, განავალი, თხემი, მყესი, მხედველობა, საბურავი, სხეული, ტერფი, ტყირბი, ფშინვა, ქეცი, ღვიძლის ბჭენი, შუასამგიდი, ძარღვი, ძგერა, ხორხი, ხრწნადი, ხრწნილი, უძლურება, საშო, ნაღველი, ნათხემი, ასაკი, აორთქლება, განზნევა, განზრახვა, მიბრჯენა, მყარი, სიბრტყე, სიგრძე...

იოანე პეტრიწის ნათარგმნ ბერძნულიდან მომდინარე ტერმინებს ვ. წერეთელმა ალაგ-ალაგ ახლანდელიც დაუპირისპირა, რომ ძველი თანამედროვე საჭიროების შესაფერისად შეეცვალა და შეესწორებინა. ის დიდ ყურადღებას აქცევდა ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინების შექმნას, დახვეწასა და დამკვიდრებას. ამ დროს ჩვენში მეცნიერების განვითარება

ეროვნული ტერმინოლოგიის აუცილებლობის საკითხს აყენებდა.

იოანე პეტრიწს აქვს ტერმინი „სასულე“, რომელსაც ფილტვებს უწოდებს. მაგრამ ეს სიტყვა ახლანიშნავს ტრახეას. ე.ი. ყანყარტოდან ბრონხებამდის დიდს განუყოფელ მილს (трахеа), – წერს ვ. წერეთელი. „ინო“ – нервное волокно, სჯობს ახლა ვიხმართ „ნერვი“; „ნასხმანი“ – ხან ნიშნავს „მუსკულს“, „მყესს“, ხან – „არტერიას“; „ადენისი“ ბერძნული სიტყვაა – ჯირკვალი და სხვა.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, გეომეტრიული, არითმეტიკული, ასტრონომიული და სხვა მეცნიერული ტერმინები, რომლებიც თანამედროვე ქართულის მსგავსია. მათი წარმომავლობა ბერძნულია. ისინი პირველად ქართულად ითარგმნა. ეს ეამაყებოდა ვასილ წერეთელს, როცა წერდა: „...მაშინ, როდესაც არც ნემესიოს ემესელის ხსენებული თხზულება და ვგონებ არც სხვა მაშინდელი შესანიშნავის ბერძნული საღვთისმეტყველო ნაწარმოები – ევროპის არც ერთ ცოცხალ ენაზე არ იყო გადათარგმნილი, ეფრემ მცირისა, იოანე პეტრიწისა და სხვა მთარგმნელთა წყალობით უკვე მეთერთმეტესა და მეთორმეტე საუკუნის დამდეგს იქნენ გადმოქართულებული“ (წერეთელი 1916: 4).

მაშასადამე, ახლანდელი მეცნიერულ-ფილოსოფიური ტერმინოლოგიის წყარო ძველი ბერძნული ფილოსოფია და მეცნიერება ყოფილა და ეს ტერმინოლოგია შეუცვლელად ჯერ ლათინურს უსესხებია, შემდეგ კი სხვა ევროპულ ენებს. ამიტომ აქვთ დიდი მსგავსება სხვადასხვა ენის ტერმინებს; მაგალითად, ამაოდ გვგონია რუსიციზმი წინადადებანი – „ეს დასკვნა ამ ფაქტებიდან გამომდინარეობს“, „ეს დასკვნა ამ ფაქტებიდან უნდა გამოვიყენოთ“, „განყენებული“ და სხვა, რადგან ამგვარადვე ყველა ენაზე“ (წერეთელი 1916: 5). „XI-XII საუკუნის ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია სავსებით შეეფერება საზოგადოს, ევროპულ ენებზე გადმოღებულ ტერმინოლოგიას და თითქმის უცვლელად შეგვიძლია ვიხმართ დღესაც“ (წერეთელი 1916).

ვ. წერეთელი თავის შესავალ წერილში მადლობას უხდის ს.რ. გორგაძეს, რომლის დაუღალავმა შრომამ შესაძლებლობა მისცა აღედგინა და განეახლებინა ძველი ტერმინოლოგია. ის მეცნიერული კეთილსინდისიერებით აცხადებს, რომ ს. გორგაძის ლექსიკონი დაიხმარა მან „ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგიის“ შექმნაში.

ვინ იყო ვასილ წერეთელი? ექიმი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და რედაქტორ-გამომცემელი, მაღალი ინტელექტისა და ფართო ერუდიციის ადამიანი; დაიბადა 1862 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრუკვეთში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 1887 წელს იურიდიულ ფაკულტეტზე გადავიდა, მაგრამ ვერ დაამთავრა, რადგანაც აქტიური მონაწილე იყო სტუდენტური მოძრაობისა, რომელიც მეფის მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული და „მგლის ბილეთით“ გარიცხეს უნივერსიტეტიდან და დააპატიმრეს ექვსი წლით. ის მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას, არ შეემლო სახელმწიფო სამსახურში შესვლა, განიცდიდა მატერიალურ სივიწროვეს. 1893 წელს კვლავ დაუბრუნდა სწავლას, გახდა კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი. 1899 წელს დაასრულა რა უნივერსიტეტში სწავლა, მუშაობა ჭიათურის საავადმყოფოში დაიწყო (ექიმ გ. ზდანევიჩის მოწვევით). 1900 წლიდან 1908 წლამდე ვასილ წერეთელი მუშაობდა თბილისში, ბაქოში, თიანეთში, გორის მაზრის სოფელ ქარელში. 1908 წლის გაზაფხულიდან 1926 წლამდე ქ. ქუთაისში გადმოვიდა საცხოვრებლად და აქ იმუშავა ჯერ ქალაქის პირველი ამბულატორიის გამგედ, თერაპევტად, 1909-12 წლებში სამხედრო ჰოსპიტლის ორდინატორად, შემდეგ – სასკოლო სანიტარულ ექიმად. წლების მანძილზე ასწავლიდა ჰიგიენას ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში (შემდგომში მეორე საშუალო სკოლა) და მ. ყაუხჩიშვილის სახელობის ქართულ გიმნაზიაში. კითხულობდა ლექციებს სახალხო უნივერსიტეტში.

მას შემდეგ, რაც თბილისში გადავიდა (1926 წლიდან), მუშაობდა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო

კომისარიატში სამეცნიერო ჟურნალ „ჯანსაღკომის მოამბის“ რედაქტორად, საიდანაც 1929 წლიდან გავიდა პერსონალურ პენსიაზე. გარდაიცვალა 1939 წელს, დაკრძალულია თბილისში.

ვასილ წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისის სამედიცინო საზოგადოების მუშაობაში. მან მრავალი მოხსენება წაიკითხა გულისა და სხვა ორგანოების დაავადებათა თემაზე. სამედიცინო საზოგადოებიდან წარგზავნილ ექიმებთან ერთად ვასილ გიორგის ძე წერეთელი მონაწილეობდა ქუთაისში გამართულ აკაკი წერეთლის 50 წლის საიუბილეო საღამოში. სხვა გამოჩენილ ექიმებთან ერთად ვ. წერეთელი სახავდა წყალტუბოს წყაროების სამკურნალო თვისებების შესწავლისა და კურორტის კეთილმოწყობის ღონისძიებებს.

ვ. წერეთელს ნაყოფიერი საექიმო, სამეცნიერო-პედაგოგიური, საზოგადოებრივი და სხვა მრავალმხრივი საქმიანობა კარგად ჰქონდა შერწყმული სამწერლო-პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან. ის იმ პერიოდში გამომავალ სხვადასხვა ჟურნალსა და გაზეთში საქმიანობდა. ახლო მეგობრობა აკავშირებდა ქართველ მწერლებსა და შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან.

ვასილ წერეთლის გამოქვეყნებული სტატიები და წერილები ეხებოდა როგორც სამედიცინო, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ, ეთნოგრაფიულ და ფილოსოფიურ საკითხებსაც. მოწონებას იმსახურებს მისი „კრიტიკული წერილები: ხელოვნური ლიტერატურა, სასიამოვნო და უსიამოვნო გრძნობები, რით განსხვავდება ხელოვნური თხზულება არა ხელოვნურისაგან“ (აკაკის კრებული, 1899, №5, 12-43). აქედან კარგად ჩანს, რომ ის სიღრმისეულად ერკვეოდა ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ საკითხებში. ამ ნაშრომის ავტორი უდავოდ მაღალი ინტელექტისა და ფართო ერუდიციის პიროვნებაა. ვ. წერეთლის ნაშრომმა „ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია იოანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით“ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარებას. ამ საქმით ვ. წერეთელმა დიდი ღვაწლი დასდო ქართულ მეცნიერულ ტერმინოლოგიას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აკაკის კრებული 1899: აკაკის კრებული, 1899, №5, გვ. 12-43.

გიორგაძე 1968: ვ. გიორგაძე, წერეთელი ვ. „საბჭოთა მედიცინა“, №4, თბილისი, 1968.

ემესელი 1914: ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა. ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონ-სადიებლები დაურთო ს.რ. გორგაძემ. თბილისი, 1914.

მხეიძე... 1976: გრ. მხეიძე, ვ. გიორგაძე, ჯანმრთელობის დაცვის მოამაგენი. თბილისი, 1976.

პეტრიწი 1968: იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე. გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბილისი, 1968.

ქართული წიგნი, ტ. I, 1629-1920. თბილისი, 1941.

ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, დამატებითი ნაკვეთი. თბილისი, 1969.

შამელაშვილი 1971: რ. შამელაშვილი, ქუთაისში გამოცემული კიდევ ერთი წიგნი. გაზეთი „ქუთაისი“, №105, 26 მაისი, 1971, გვ. 3.

წერეთელი 1916: წერეთელი ვ., ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია იოანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით. ქუთაისი, 1916.

Eter Ormotsadze-Makharadze

TOWARDS ONE OF VASIL TSERETELI'S WORKS

Summary

The work discusses the dictionary “Georgian Scientific and Philosophical Terminology According to the Translation of Iovane Petritsi” published in 1916 by the public figure, doctor, publicist and editor-publisher Vasil Tsereteli. The dictionary of terms contains 956 entries. They are philosophical, medical, arithmetic, geometric, psychological, astronomical and physiological terms. Many of them have not lost their relevance even today and are used with exactly the same meaning as when Iovane Petritsi translated them at the beginning of the 12th century.

V. Tsereteli occasionally contrasted new terms with terms sourced from Greek and translated by Ioane Petritsi, in order to change and correct the old terms in accordance to modern needs. He paid great attention to the creation, development and establishment of Georgian scientific and philosophical terms.

Vasil Tsereteli made a great contribution to the development of scientific terminology in Georgia.

თამთა შავიანიძე

თამაზ ბიბილურის მოთხრობის – „ნილაბი“ ძირითადი ასპექტები

ანტიკური ხანიდან მოყოლებული ნილაბი ხალხური / რელიგიური დღესასწაულისთვის განკუთვნილ რიტუალურ ნივთს წარმოადგენდა. მისი დანიშნულება კი ცხოველების, მითოლოგიური არსებების ან გამოგონილი პერსონაჟების განსახიერება იყო. რიტუალური ნიღბები ძირითადად ტოტემური და ანიმისტური წარმოდგენებისთვის გამოიყენებოდა. ხოლო, ცხოველთა კულტის მიხედვით, თავად ნიღბიანი იმ არსებად გარდაისახებოდა, რომელსაც განასახიერებდა.

ქართულ რეალობაში, რიტუალურ ნიღბებს საკმაოდ ძველი პერიოდიდან იყენებდნენ ბერიკაობა-ყენობის, ახალი წლის, მიცვალებულთა მოსახსენიებელი რიტუალების დროს. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დგინდება მათი ნაირსახეობანი და გამოყენების წესებიც (ჯანელიძე 2018; რუხაძე 1990).

საწესო რიტუალური დანიშნულების გარდა, ნიღბის თემატიკა შემოვიდა მწერლობაშიც. პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში „ავტორის ნილაბი“ (Carl Darryl Malmgren) გულისხმობს თავად მწერლის რეფლექსიას ტექსტში. ესაა მომენტი, როცა მწერალი ირგებს მოთხრობელის ან სხვა პერსონაჟის როლს ნაწარმოებში და ერთვება უშუალო თხრობის პროცესში (ბრეგაძე 2019: 86-98).

პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ამ მახასიათებელმა ტექსტმა და ავტორს საშუალება მისცა, აქამდე არარსებული კავშირი დაემყარებინათ – ავტორი ტექსტის არათუ შემოქმედი, უშუალო მონაწილე გახდა.

სწორედ ნილბის ამგვარი ფუნქციური მონაცვლეობის, ერთდროულად რამდენიმე დანიშნულების ქონის გამო გამოიყენა თამაზ ბიბილურმა სათაურად იგი. ნილბის განსხვავებული დატვირთვის გათვალისწინებით ცდილობს ავტორი, მკითხველამდე მიიტანოს საკუთარი ჩანაფიქრი.

თამაზ ბიბილურის მოთხრობაში „ნილაბი“ ბახტინის თეორიის კარნავალიზებული ლიტერატურის თითქმის ყველა მახასიათებელი და ნიუანსი იკვეთება. ესაა ადამიანის ისტორია, ვისი ცხოვრებაც სავსეა რიტუალურ-სანახაობრივი მოვლენებით; თავისუფალი და ფამილარული ურთიერთობებით, ოპოზიციური წყვილებით, რაც მჟღავნდება როგორც უშუალოდ შიდაპიროვნულ კონფლიქტებში, ისე მისი და საზოგადოების/სოფლის ანტაგონისტურ წყვილში; აქტიურ როლს თამაშობს ამბივალენტური სიტყვის ფუნქციური დატვირთვაც, რადგან მოთხრობის გმირთა ერთი ნაწილი საკუთარი შეხედულებების აფიშირებას არ ერიდება, ხოლო მეორე ნაწილი ცდილობს ფარულად დაიკმაყოფილოს მისწრაფება-სურვილები.

უპირველეს ყოვლისა, ტექსტის კარნავალურ ბუნებას ასახავს სათაური „ნილაბი“. ის პირდაპირ მიანიშნებს მთავარი გმირის ცხოვრების თეატრალურობაზე და ამბის, როგორც წარმოდგენის, ჩვენებით მკითხველს საფიქრალი უჩნდება, ეჭვი ღრღნის, პარალელურად კი ხვდება, რომ თედოს ცხოვრების წარმოდგენა არაა მხოლოდ ამ ერთი კაცის ისტორია, ის შეიძლება ნებისმიერის იყოს, ვისაც საკუთარი განცდებისა და ემოციების მიღმა უზარმაზარი ტკივილი და დარდი აქვს. სიტყვა ნილაბიც მკაფიო მითითებაა იმაზე, რომ თედო თამაშობს. ის, ვისაც სოფელი იცნობს, ყალბი გმირის მიერ გამოგონილი პიროვნებაა, ისაა, ვისი დანახვაც საზოგადოებას უნდა, ვისაც ხალხი ითხოვს გასართობად, სამხიარულოდ გამოსაყენებლად. რეალურად ხომ არავინ

ინტერესდება პიროვნების ნამდვილი ტკივილითა და განცდებით, რა უჭირს ან ულხინს.

აქედან იწყება მოთხრობის ანტაგონისტურ წყვილთა უწყვეტი ჯაჭვიც. მოთხრობის დასაწყისში, ეპიგრაფშივე იკვეთება პირველი დაპირისპირება. ერთი შეხედვით, ამონარიდი პლატონის „ნადიმოდან“ ჟანრების გამიჯვნის საკითხს ეხება. თუმცა კომედიისა და ტრაგედიის ამბივალენტური შეპირისპირება მოთხრობის მთლიან ქვეტექსტს ეხმიანება. იგი თედოს ცხოვრების ანალოგიაა, რომლის მხიარულობისა და უდარდელობის მიღმა დარდით, ტკივილებითა და უიმედობით სავსე ყოფა იმალება.

თედოს დაბადების ამბავში იკვეთება მთელი ის ამაოება, რაც კაცის ქვეყნად მოვლინებას ახლავს თან: „ცხოვრების ბნელ ბილიკზე დედიშობილა გამოტანტალდა თედო, ვიღაცამ ხელი სტაცა და სარცხვენელი დაუფარა. ვიღაცამ ჭრელი პერანგი გადააცვა, ვიღაცამ ქუდი დაჰხურა... თედო კაცად იქცა“ (ბიბილური 1981: 132). ისევ სხვის გამო, ვიღაცის შეხედულებების საამებლად, კლიშეებს მორგებული დაიწყო სრულიად უცოდველი ბავშვის ცხოვრება; არავინ დალოდებია მის სურვილებს, არავინ დაკვირვებია, რა ოცნებები და მიზნები ჰქონდა ბიჭს, ერთი ხელის მოსმით დაასვეს ნიშა და მხიარულ, უფიქრალ კაცად მონათლეს. მსგავსი შეხედულებების შედეგს კი თავად აჟღერებს ავტორი: „სატირის ღიმილი გადაჰფენია“ (ბიბილური 1981: 133) თედოს სახეზე. ეს ის ღიმილია, რომლის მიღმაც ძალიან კარგად იაზრებს თავის ჭეშმარიტ ვალსა და დანიშნულებას სოფლის მეკუბოვე; იმასაც ხვდება, რომ მასისთვის სასურველად ყოფნა უდარდელას ნიღაბს მოითხოვს, ხალხის გართობით უფრო მოიხვეჭს სახელს, ვიდრე რეალური სევდანარევი ყოფით. თედოს მთელი ცხოვრება ხომ თავიდან ბოლომდე ნიღბის მეტაფორაა, ერთი დიდი მიკროსამყაროა, რომელის უკანაც პატარა ადამიანის განცდები იმალება. ცხოვრების „ჭრელაჭრულა“ ფარდის კულისებში თედო გამუდმებით თამაშობს ერთსა და იმავე როლს – ბედნიერ ადამიანს.

ყველაზე დიდი ფამილარობა სწორედ ბედნიერად ყოფნა, ბედნიერების ფორმულის ძიებაა მოთხრობაში.

თითოეულ პერსონაჟს საკუთარი სუბიექტური აღქმა აქვს ამ განცდის მიმართ. სოფელი ბედნიერებას თედოში, როგორც საკუთარ გასართობ მასხარაში, ისე ხედავს, თავად თედო კი ოჯახისა და შვილების კარგად ყოფნას თვლის ნეტარებად.

თედო და სოფელი ორი სხვადასხვა მხარე არიან, საიდანაც ერთ-ერთი ყოველთვის ცდილობს, მეორე გამოიყენოს და სანაცვლოდ მხოლოდ წესისამებრ სავალდებულო კეთილგანწყობა გაიღოს. ეს ძალიან კარგად მაშინ გამოჩნდა, როცა თედო მეკუბოვედ აირჩიეს. სოფელმა თედო აიძულა ურთულესი საქმით გამბდარიყო საჭირო და ტვირთი ეტარებინა ცხოვრების ბოლომდე. მხოლოდ ამ საქმიანობით გახდა მნიშვნელოვანი კაცი, მანამ მხოლოდ ცოლ-შვილის პატრონი, უბრალო ოჯახის კაცი იყო, რომელზეც ათას ისტორიას ყვებოდნენ და ტყუილ-მართლის ერთმანეთისგან გარჩევა არ ჰქონდათ.

სოფელი და თედო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსია, რომლებსაც თან სჭირდებათ ერთმანეთი და თან უერთმანეთოდაც ახერხებენ არსებობას. ყოველივე ეს მოთხრობის ბოლო ნაწილში ჩანს, როცა თედო საბოლოოდ მოიხსნის ნიღაბს და სოფელს გაერიდება. გარიდებაში ჰპოვებს სიმშვიდეს, მხოლოდ საკუთარ ფიქრებთან და გრძნობებთან რჩება, მაქსიმალურად ცდილობს, სიცოცხლის ბოლო პერიოდი პირადი განცდების დაკმაყოფილებას, ტკივილების დაამებას მოანდომოს. თუმცა მეკუბოვის მეველედ გახიზვნა არ უნდა ჩაითვალოს საზოგადოებისგან მთლიანად გაქცევად, განდევნილობად; ის უბრალოდ მუდმივ ქაოსს გაერიდა, თანაც სოფელთანაც ძალიან მყარი კავშირი შეინარჩუნა. ერთ დროს მეკუბოვე ახლა კაცის ყველაზე დიდი საუნჯის, ვაზის დარაჯი ხდება და ამით იხდის საბოლოო ვალს თავისი თანასოფლელების წინაშე. მეორე მხრივ, სოფელი დიდად არ ისაკლისებს თედოს და რამდენიმე ხანში ისევე ივიწყებს, როგორც ყველას, თუმცა ის კი არის, რომ უკვე მიცვალებულ თედოს პატრონობს. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სოფელი და თედო ერთმანეთს გარკვეულწილად მოშორდნენ, გაცილებით უფრო ღრმა ერთგულება და ურთიერთპატივისცემა შეიძინეს, თითქოს ერთმანეთის ნამდვილი ფასი ბოლოსდა გაიგეს.

მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც თავად თედოს პიროვნება და მისი შინაგანი ამბივალენტური ბუნებაა, თედოს ხასიათია მოთხრობის ამოსავალი და ყველა პრობლემური საკითხის გასაღები. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, ვინ არის თედო? ესაა შეკითხვა, საიდანაც იხსნება ტექსტის ყველა მნიშვნელოვანი თემა.

პირველი: თედო არის ხუთი შვილის მამა. მშობლობა ყველაზე დიდი მოვალეობაა ამქვეყნად და თედოც პირნათელი მშობელია. წვერი შეჰმატა მომავალ თაობას, მათ, ვისაც ხალხის/ქვეყნის ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლია, მაგრამ რა ხდება? თედოს შვილები არც ისე კარგი მომზადებული აღმოჩნდნენ ცხოვრებისათვის. არც ერთმანეთში გამოსდით ურთიერთობა და არც საქმიანობაში გამორჩევიან განსაკუთრებული სიყოფილით. ბაბალემ და თედომ ყველაზე დიდი კრახი სწორედ შვილების აღზრდაში განიცადეს, რაღაც გამოეპარათ, ბოლომდე ვერ შეძლეს სრულყოფილი შთამომავლობის დატოვება. მაგრამ ადამიანი იმდენად ოპტიმისტია, რომ თავად თედო არაფრით უტყდება საზოგადოებას ამ მარცხში. პირიქით, ყველგან გაიძახის, კარგი შვილები გავზარდეო, რაც ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას: ერთი – ერიდება, ბოლომდე დაიმციროს თავი ისედაც დამცინავ საზოგადოებაში, ან მეორე – არ უნდა დაიჯეროს საკუთარი მარცხი.

მეორე: თედო ბაბალეს მეუღლეა. ბაბალესა და თედოს ურთიერთობა გარდამტეხი ხაზია მოთხრობის გაანალიზებისას. მათი წყვილის საშუალებით ფარდა ეხდება არა მარტო ორივეს ცუდ და კეთილშობილურ ნაწილებს, არამედ სოფლის, როგორც ცალკე აღებული პერსონაჟის, თვისებებსაც. შეიძლება ითქვას, რომ ტექსტში მხოლოდ სამი გამორჩეული პერსონაჟია: თედო, ბაბალე და სოფელი. თედოსა და ბაბალეს კავშირით ირკვევა, რომ სოფლის მეკუბოვეს, მიუხედავად მძიმე ხასიათისა, სიყვარულის ძალიან დიდი უნარი აქვს. სიყვარულიანი ადამიანი კი ყოველთვის მართალი და უფლის თანაზიარია. ამიტაც იხსნება მისი საქმიანობა და ცხოვრების სტილი – ზედმიწევნით გამოხატული პატიოსნება. სწორედ თედოს

საქმიანობა განაპირობებს ცოლ-ქმრის გამუდმებულ ჩხუბს. თედო გამუდმებით ცდილობდა ბაბალეს პროვოცირებას, გამწარებას, მაგრამ თედოს ნამდვილი სიყვარული მეუღლისადმი მაშინ გამოჩნდა, როცა ბაბალე გარდაიცვალა. თითქოს ამ ფაქტის შემდეგ თედო თავიდან დაიბადა. ოღონდ დაიბადა თავისუფალ პიროვნებად, რომელსაც სალაპარაკო, დასამტკიცებელი აღარაფერი ჰქონდა ხალხთან. ბაბალე იყო თედოს მთავარი ბერკეტი და საამქვეყნო ცხოვრებასთან კავშირის შემკვრელი. თედოს სიყვარული რომ გულწრფელია, იმ უამრავი ისტორიიდანაც ჩანს, რასაც მასზე იგონებდნენ. ბაბალეს სიყვარულს ყველა ამბავში სრულფასოვნად წარმოაჩენდნენ და მას ვერც ერთი სხვა ქალის გამოწაგონი არაკი ვერ უდებდა ტოლს. ბაბალეს მკაცრი, ერთი შეხედვით კუმტი ხასიათი თედოს სიცოცხლის მუხტს უნარჩუნებდა, არ აძლევდა მოდუნების საშუალებას. ბაბალე იყო თედოს მამოძრავებელი იმპულსი, რომლის დაკარგვის შემდეგაც თედოც დაიფერფლა.

თედოს სიყვარულიანი ცხოვრების გამოხატულებაა მისი სიკვდილის სცენაც, რომელშიც გარდაცვლილი მეუღლე ელანდება და მიუძღვება სასუფეველისკენ მიმავალ გზაზე. ფაქტობრივად ბაბალეს პიროვნებით იხსნება თედოს როგორც ადამიანის დანიშნულება. ბაბალე და თედო ერთი მთელის ორი სხვადასხვა ნაწილი არიან, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და განსხვავებული ტემპერამენტით მუდმივ ტონუსში ამყოფებენ თანასოფლელებსაც.

შეიძლება ითქვას, რომ ცალკე ბაბალეს პერსონაჟის დახასიათება არცაა საჭირო, რადგან თედოს პიროვნების აღწერისას ბაბალე მისი განუყოფელი მდგენელია. მათი მრავალწლიანი თანაცხოვრების ჩვენების ფონზე, თ. ბიბილური ყოფითი საქმეების მიღმა იმდენად დიდ ემოციასა და სურვილებს დებს, რომ ძნელია მკითხველი გულგრილად შეხვდეს ცოლ-ქმრის ნებისმიერ კამათს. ბაბალესა და თედოს წყვილი ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. სწორედ მათი საშუალებითაა შესაძლებელი რეალური ჭეშმარიტების გააზრება – ნამდვილი სიყვარული, სირთულეების მიუხედავად, ყოველთვის რჩება ადამიანის

მთავარ იმპულსად და საყრდენად, ყველაზე რთულ მომენტებშიც კი.

მესამე: თედო სოფლის მეკუბოვე და შემდეგში მეველეა. ესაა ადამიანი, რომლის გარეშეც, ფაქტობრივად სოფელი არ იქნება. ყველას აუცილებლად დასჭირდება თედო და ეს ძალიან კარგად იცის თითოეულმა თანასოფელელმა. ამიტომაცაა, რომ არსად ავიწყდებათ თედოს დაპატიჟება. ისინი თითქოს ამით ვალს უბრუნებენ, ცდილობენ ელემენტარული ყურადღებით გამოხატონ პატივისცემა, მაგრამ სოფელი მაინც ცივი, ნიჰილისტური დამოკიდებულებების მქონეა. ამით აიხსნება თედოსგან მაქსიმალური სარგებლის მიღების სურვილიც.

თედო თ. ბიბილურის იმ პერსონაჟთა რიგებშია, რომელთაც საკუთარ მხრებზე იტვირთეს ქვეყნის/სოფლის კეთილშობილების შემონახვა და იდეალური პიროვნების სახე აჩვენეს მკითხველს. თედო მწერლის შემოქმედებაში ზოსიმეს მსგავსი ნაჭირნახულები კაცია, ვისთვისაც ამქვეყნიურ ყოფას ყოველგვარი საცდელი მოუვლენია და მაინც ღირსების სახელი შეუნარჩუნებია.

ამდენად, ტექსტში თედო ის საზოგადო ტიპია, რომლის ძალისხმევითაც გადაგვარებულ საზოგადოებაში ჭეშმარიტი ადამიანობის მარცვალი ნარჩუნდება.

ყველაფერთან ერთად, მოთხრობა „ნილაბი“ პირდაპირ უსვამს ხაზს ეპოქისთვის დამახასიათებელ ნიშნებს და ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემს ბოლშევიკური რეჟიმის სისუსტეებს. ნადიაკვნარი თედოს სახე იდეალური მაგალითია რეჟიმისა. რამდენადაც ცინიკურია მწერალი დიაკვანყოფილი თედოს ამბის აღწერაში, იმდენად სავალალო მდგომარეობაშია ხალხი. სწორედ რომ სასაცილოა საზოგადოების იმგვარი ყოფა, როცა ერთი უბრალო მეკუბოვის ამბავზეა დამოკიდებული „ახალი დროების“ (ბიბილური 1981: 136) მიღება-არმიღების საკითხი. თედოს გაძევება ბოლშევიკების მხრიდან არა მხოლოდ ურწმუნოების მომძლავრების, არამედ მმართველთა საფუძველმოკლებული მოქმედების მანიშნებელი იყო. ყველა, ვისაც თედოს გამო ჰქონდა გამიზნული ახალი

წყობილების აღიარება ან არაღიარება მათივე უსუსურობასა და უვიც, გაუგებარ ქმედებებზე მეტყველებს. ვერავინ აცნობიერებს რეალურ საფრთხეს, უმნიშვნელოდ მიაჩნიათ მიზეზი, თუ რატომ მოუწია თედოს დიაკვნის კაზის გახდა. არადა სულიერი საზრისის მოკლებით მომძლავრდა მთელ სოფელში უმეცრება.

შედარებისთვის: „ნადიაკვნარი“ (თ. ბიბილური), „ნახუცარი“ (მ. ჯავახიშვილი) ერთი და იმავე მნიშვნელობის ტერმინებია და ორივე შემთხვევაში სულიერების წაშლის, იდეოლოგიური გადაგვარების გამოსახატად გამოიყენება.

თამაზ ბიბილური დახვეწილი მწერლური ოსტატობით ახერხებს ადამიანური ტრაგედიების, პიროვნებათაშორის, საზოგადოებასა და პიროვნებას შორის არსებული კონფლიქტების, სოციალური გულცივობისა და ხალხის გადაგვარებული ყოფის აღწერას. ტექსტი პროზაიკოსის შემოქმედებაში ერთ-ერთი დიდი ლიტერატურული ღირებულების მქონე ნაწარმოებია. თხზულებაში უდიდესი ფსიქოლოგიზმითაა გადმოცემული ავტორის სათქმელი. ნებისმიერ მკითხველს შეუძლია ამოიცნოს საკუთარი სისუსტეები, ყველაზე ღრმად დამარხული განცდები. მოთხრობა „ნილაბი“ ერთგვარი მხილებაა ყველა იმ მანკიერებისა, რაც მწერლის თანადროულ ეპოქაში სუფევდა.

გამოყენებული ლიტერატურა

აბზიანიძე... 2012: ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრებული ენციკლოპედია, ტ. 2, თბილისი, 2012.

ბახტინი 2010: მ. ბახტინი, კარნავალიზებული ლიტერატურა, ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია, ტ. 2, თბილისი, 2010.

ბიბილური 1981: თ. ბიბილური, მთვარის შვილი. რომანი და მოთხრობები. თბილისი, 1981.

ბრეგაძე 2019: ლ. ბრეგაძე, ავტორის ნილაბი და ქართული პოსტმოდერნიზმი. XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი. საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, ტ. II, თბილისი, 2019.

დოიაშვილი 1976: თ. დოიაშვილი, თამაზ ბიბილურის მოთხრობები. ჟურნალი „ცისკარი“, 1976, №9, გვ: 126-133.

კიკნაძე 2007: ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია. თბილისი, 2007.

რუხაძე 1990: ჯ. რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული. ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, 1990, №86.

Tamta Shavianidze

**THE MAIN ASPECTS
OF TAMAZ BIBILURI'S STORY "THE MASK"**

Summary

Since ancient times, masks have been ritual objects intended for folk-religious celebrations. However, apart from their ceremonial purpose, the theme of the mask is also relevant in literary studies. "Author's mask" refers to the writer's reflection within the text.

It is due to the functional interchangeability of the mask, having multiple purposes at once, that Bibiluri used the term as the title of his story. In Tamaz Bibiluri's story "The Mask," almost all characteristics and nuances of Bakhtin's theory of carnivalized literature are revealed. It is the story of a person whose life is full of ritual-spectacular events, free and familiar relationships, and opposing pairs, manifesting both in internal personal conflicts and in the antagonistic pairs of the individual with society/village.

The story also actively incorporates the functional meaning of ambivalent words. One group of characters does not hesitate to showcase their views openly, while another group seeks to fulfill their desires and aspirations secretly.

The story "The Mask" captures the weaknesses of the Bolshevik regime with remarkable accuracy. The character of Nadia Kvnar Tedo serves as an ideal example of totalitarian governance.

This text is one of the noteworthy examples of Tamaz Bibiluri's work. It unites human tragedies, conflicts between conditions, as well as conflicts between society and the individual, depicting a degenerate, nihilistic existence of the people and their illusory way of life.

ნინო ხახიაშვილი

ბელურები (ანა კალანდაძის ორი ლექსი)

„ოქროყანაში ეზოში ონკანის ქვეშ წყლით გალიცლიცებული რკინის დიდი კასრი იდგა. ბატონმა არწოლდმა ერთხელ მითხრა: აქ ბელურები სვამენ ხოლმე წყალსო... ეს ისეთი ტონით იყო ნათქვამი, თითქოს დიდ საიდუმლოს მიზიარებდა“ (ანა კალანდაძის მოგონებებიდან).

ანა კალანდაძეს ორი საოცარი ლექსი აქვს ბელურებზე: „ფიტარეთში“ და „მკვდართა მზე ვარ...“

ფიტარეთის უძველეს ტაძარში ბელურები მუდამ ესწრებიან წირვას და საიდუმლო სერობის თანამონაწილენი ხდებიან; თვითონაც, საიდუმლოს მონაწილენი, იდუმალებით არიან მოცულნი.

„ფიტარეთში“

ამ ძველ კედლებში ბელურები

ისადგურებენ

და თითქმის მუდამ ესწრებიან

წმინდა სერობას.

და როს მხრჩოლავი საცეცხლური

მოაქვს ქერუბიმს,

თვალებს ხუჭავენ შიშისაგან

მათდა უნებურ.

როს ვერცხლით სავსე პარკით ხელში

ჯდება იუდა

წმინდა სუფრაზე – მონა ყოველთა

ამქვეყნიურთა,

ისინი წყვეტენ ძველ კედლებში
 ხმაურს და ჟიჟივს
 და... რაღაც დიდის მოლოდინში
 კვდებიან შიშით.
 ამ ძველ კედლებში ბელურები
 ისადგურებენ
 და თითქმის მუდამ ესწრებიან
 წმინდა სერობას“.

მეორე ლექსშიც ისევ ბელურებია, იდუმალი ბელურები...
 ამჯერად მკვდართა მზის სხივებში მოჟიჟივენი და
 მოთამაშენი...

მკვდართა მზე ფშაური თქმაა: „ფშაველის წარმოდგენით
 საიქიო ქვეყნის შუაგულში არის; საიქიოს ის ეძახის „შავეთს“.
 შავეთში მართალნი არიან მკრთალს ნათელში. ეს ნათელი
 ისე აქვს წარმოდგენილი ფშაველს, როგორც ჩასულის მზის
 ახლად გამქრალი სხივები მთის წვერებზე; ყველამ იცის,
 რომ მთის წვერები ცოტადლა არიან ამ დროს წითლები, ამას
 ფშაველი ეძახის „მკვდართა მზეს“ (ვაჟა-ფშაველა).

„მკვდართა მზე ვარ. . .“

ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,
 გულო, რისად მეხურები?
 სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა მზე ვარ,
 ჩემს სხივებში თამაშობენ ბელურები...
 ...ლხენით ვისმენ ბელურების წივ-წივ, წივ-წივს...
 ამოდიან, ბალახების სუნთქვა მესმის,
 მაგრამ... მაინც გული რისად მეხურება?
 ვარდის რტოზე შერჩენილი ხმელი თესლი
 აკენკეს და გაიტაცეს ბელურებმა...
 ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,
 გულო, რისად მეხურები?
 სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა მზე ვარ,
 ჩემს სხივებში ჟიჟივებენ ბელურები...

ორი ქვეყნის, ამა ქვეყნისა და იმა ქვეყნის საზღვრად დგას,
 თითქოსდა მართლაც, ანა კალანდაძე თავისი შემოქმედებით,
 და სხივმიმკრთალ მკვდართა მზესავით გვფენს თავისი
 შემოქმედების სხივებს მისი პოეზიით შთაგონებულივს,
 და ჩვენც, იდუმალებას მცირედნაზიარებნი, ვჟიჟივებთ
 ბელურებივით...

P. S.

არსებობს ერთი აპოკრიფული გადმოცემა (თომას აპოკრიფული სახარება), როგორ გააცოცხლა თიხის ბელურები (ჩიტები) ხუთი წლის იესომ. ეს გადმოცემა ცნობილმა შვედმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, სელმა ლაგერლოფმა გამოიყენა თავის მოთხრობათა კრებულში „ლეგენდები ქრისტეზე“. აი, ეს ლეგენდა:

ერთხელ, როცა იესო ჯერ მხოლოდ ხუთი წლის იყო, მამამისის სახელოსნოს წინ იჯდა და იმ თიხისგან, რომელიც მეზობლად მცხოვრებმა მეთუნემ მისცა, თიხის ჩიტუნებს გულმოდგინედ მერწავდა. იქვე, კიბის საფეხურზე, წითური ბიჭი, იუდა იჯდა და ისიც ჩიტუნებს მერწავდა თიხისაგან, იესომ რომ უწილადა.

ჩიტების კეთება რომ დაამთავრეს, ორივემ თავისი ნახელავი ნახევარწრედ წინ დაილაგა: მათი ჩიტებიც ისეთივე იყო, როგორიც ყველა დროის თიხის ჩიტებია: ფეხების მაგივრად თიხის დიდი, ნაცრისფერი კოშტები ებათ, მოკვეცილი ბოლოები და კისრები სულაც არ ეტყობოდათ და, ოდნავ შესამჩნევი ფრთები ჰქონდათ.

მაგრამ პატარა მეგობრების მიერ გამოძერწილი ჩიტები ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: იუდას დაუდევრად გაკეთებული ჩიტები ფეხზე ვერ დგებოდნენ და მიწაზე ეყარნენ. ის შურით გადახედავდა ხოლმე იესოს გამოძერწილ, ერთმანეთზე უფრო ლამაზ ჩიტუნებს, ყელმოდერებულები რომ ჩამწკრივებულიყვნენ პატარა შემოქმედის წინ, რომელიც დიდი სიყვარულით შესცქეროდა მათ და ცოცხლებივით ექცეოდა. თითოეულ მათგანს სახელიც დაარქვა, დამეგობრდნენ კიდეც: ისინი შორეული ქვეყნიდან მოფრინდნენ მასთან და ისეთი ამბები უამბეს, რაც არავინ იცოდა, მათ გარდა...

მოსაღამოვდა. მზე ისე დაბლა დაეშვა, რომ მისი სხივები ნაზარეთის რომაული არწივით მოხატულ დაბალ ქიშკარში შემოდიოდა და ოქროსფერ-მეწამულისფრად ღებავდა ყველაფერს, განსაკუთრებით მზის სხივები თვალისმომჭრელ ელვარებას ჰფენდა ფილებს შუა გუბებად დამდგარ წყალს. იესოს მოუნდა, თავისი ჩიტები მეწამული სხივების ამ საოცარ ფერში ამოევლო, მზის სხივებიც თითქოს სიხარულმა აიტაცა: „აბა, დაგვიჭირეო“, და როცა

იესომ პატარა თიხის ჩიტებს სველი ხელი გადაუსვა, ჩიტები დაფერადნენ...

იუდამ შეჰყვირა აღტაცებისაგან, თვითონაც მოინდომა, მზის სხივები დაეჭირა და თავისი ჩიტებიც დაეფერა, მაგრამ სხივი არ დაემორჩილა იუდას და მისი ჩიტები ნაცრისფერები დარჩნენ...

„მე დაგეხმარები, იუდა“, – უთხრა იესომ.

მაგრამ იუდას აღარ აინტერესებდა არაფერი, ფეხით შესდგა თავის თიხის ჩიტუნებს და ისევ თიხის კოშტებად აქცია. შემდეგ იესოს ჩიტებს გადახედა სიძულვილით და მათი გაქრობაც მოინდომა: ერთ-ერთ მათგანს დაადგა ფეხი და ისიც ისევ თიხის კოშტად იქცა. „ახლა კი სხვებსაც მიწასთან გავასწორებო“, – გაიფიქრა და ფეხი ასწია თავისი ზრახვის აღსასრულებლად.

იესოს თვალები ცრემლებით აევსო. იუდას ფეხქვეშ უკვე ოთხი პატარა ჩიტი ღაფავდა სულს, ცოტაც და, დარჩენილი სამიც მათ ბედს გაიზიარებდა.

„გაფრინდით, გაფრინდით!“ – შესძახა პატარა იესომ და ბელურების დასაფრთხოებად ტაში შემოჰკრა. და, მოხდა სასწაული: დარჩენილი სამი ბელურა გაცოცხლდა, ფრთები შეაფრთხილა და ცაში შეინავარდა...

იუდა ტირილით დაემხო მიწაზე... მას, ერთდროულად, ძალიან უყვარდა და ძალიან სძულდა იესო: აღფრთოვანებული იყო მისით და შურდა მისი...

...წლების შემდეგ, როცა მაცხოვარი გოლგოთაზე ჯვარს აცვეს, პატარა ნაცრისფერი ჩიტი, რომელსაც იქვე, ასკილის ბუჩქებში, ბუდე ჰქონდა გაკეთებული, შეძრწუნებული შესცქეროდა ადამიანთა უღვთო სისასტიკეს, პატარა ბარტყებს ფრთები გადააფარა, რომ ეს შემზარავი სანახაობა არ დაენახათ...

„რა სასტიკები არიან ადამიანები, ის არა ჰყოფნით, რომ სამი ადამიანი ჯვარზე გააკრეს, ერთ მათგანს ეკლის გვირგვინიც კი დაადგეს თავზე, ეკლები შუბლში შერჭობია და სისხლი ჩამოსდის, თვითონ კი ისეთი მშვენიერია და მშვიდი გამოხედვა აქვს, არ შეიძლება, არ გიყვარდეს“... ჩიტი სულ უფრო და უფრო დიდი სიბრაღულით იმსჯვალეობდა ჯვარცმული გვირგვინოსანის მიმართ, აღარ შეეძლო ბუდეში ჯდომა, უნდოდა, რაღაცით დახმარეობდა

ჯვარცმულს. თუმცა, ახლოს მიფრენასაც ვერ ბედავდა: ის ხომ პატარა, მშობარა ჩიტი იყო... მაგრამ იმდენად ძლიერი იყო სიბრალული და ჯვარცმულის დახმარების სურვილი, რომ შიშს სძლია, ახლოს მიფრინდა მასთან და შუბლიდან ერთი ეკალი ამოაძრო, ეკლის გვირგვინოსან ჯვარცმულს სისხლი ჩამოსდიოდა ჭრილობებიდან... ნაცრისფერ ჩიტუნას მაცხოვრის სისხლით წითლად შეეღება გულისპირი...

ასე გაჩნდნენ გულწითელა ბელურები...

სელმა ლაგერლოფს, პირველ ქალს მსოფლიოში, ნობელის პრემია 1909 წელს მიენიჭა, 1914 წელს იგი შვეციის აკადემიის წევრად აირჩიეს...

საოცარი მსგავსებაა სელმა ლაგერლოფის ლეგენდებსა და ანა კალანდაძის ლექსებს შორის: სულის უნატიფესი სიფაქიზე და ბიბლიური საიდუმლოს შეცნობის, წვდომის და გადმოცემის სურვილი... აუწვთომელის წვთომისა და დაუნახავის დანახვის მადლი... „გამომიბრწყინდი, მიუღწევლო, აწ უცნაური მექმენ საცნაურ...“ – ევედრებოდა ანა უზეშთაესს...

„მაღალთ მარტოდენ

შარავანდედთა

სამეფოთა ცისათა სახლის,

მომეცეს ძალი,

ძალი მომეცეს,

ვიყო მარადის მე

მათდა მსახურ!“ – წერდა იგი.

„ჩემი გულისთქმა ხშირად საოცრად მიესადაგება ხოლმე ჩემთვის საინტერესო ადგილებს ამ ბრძნული წიგნებიდან – როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმიდან. ამიტომაცაა „ბიბლია“ „შთაგონების უმრეტე წყარო“ ყოველი ეპოქის ხელოვანისათვის... დიახ, ჩემი გულისთქმა ხშირად საოცრად მიესადაგება ამა თუ იმ ადგილს ბრძნული წიგნებიდან ...“ (ანა კალანდაძე).

თომას აპოკრიფული სახარების მიხედვით ხუთი წლის იესო უბრალო თიხისაგან გამოძერწავს თორმეტ ბელურას, რომლებსაც სასწაულებრივ გააცოცხლებს. აპოკრიფული ტექსტების მკვლევართა მოსაზრებით, თორმეტი ბელურა სიმბოლურად იესო ქრისტეს თორმეტ მოწაფე-მოციქულს აღნიშნავს... ზოგადად, ქრისტიანულ ხელოვნებაში ჩიტი (ბელურა) მორწმუნე ადამიანის სულის სიმბოლოა.

შუასაუკუნეების ტაძრების ფრესკებსა თუ ორნამენტებში ხშირად არის გამოსახული ფრინველები, პატარა ჩიტები, რომლებიც ვაზის მტევანს კენკავენ. სიმბოლურად ისინი გამოსახავენ მორწმუნე სულებს, რომლებიც ქრისტიანულ საიდუმლოს ეზიარებიან.

დასასრულ, კვლავ ანა კალანდაძის ერთი ლექსი:

ზესაიდუმლო

რჩება მრავალი

და ცნობისწადილს

ვერ კლავ აღუვსებს...

მარად

ექვების

ტევრით მავალო,

ქვეყნად კვლავ რამდენს

ტოვებ აუხსნელს?

Nino Khakhiasvili

SPARROWS (TWO POEMS BY ANA KALANDADZE)

Summary

Ana Kalandadze's poetry is characterized by an exceptionally refined subtlety of the soul and a desire to comprehend, perceive, and convey biblical mystery. A vivid example of this is her two remarkable poems about sparrows: «In Pitareti» and «I Am the Sun of the Dead...»

In the frescoes and ornaments of medieval churches, birds, particularly small ones pecking at grape clusters, are often depicted. Symbolically, these birds represent the faithful souls partaking in the Christian mystery. In Christian art in general, a bird (such as a sparrow) symbolizes the soul of a devout believer.

Ana Kalandadze aspired to grasp the essence of great mysteries, which is why her poems are so profound and enigmatic.

ავტორთა მონაცემები

თენგიზ გუმბარიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

ვახტანგ გურული

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის პროფესორი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ეთერ ორმოცაძე-მახარაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი

თამთა შავიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

ნინო ხახიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას
სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-
თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი.

CONTRIBUTORS

TENGIZ GUMBERIIDZE

Akaki Tsereteli State University, Associate Professor,
Doctor of Philology.

VAKHTANG GURULI

St. Andrew the First-Called Georgian University
of Patriarchate of Georgia,
Professor, Doctor of History.

ETER ORMOTSADZE-MAKHARADZE

Akaki Tsereteli State University, Associate Professor,
Doctor of Philosophy.

TAMTA SHAVIANIIDZE

Akaki Tsereteli State University,
PhD Student

NINO KHAKHIASHVILI

Researcher at Arnold Chikobava Linguistics Institute
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Doctor of Philology.

ს ა რ ჩ ე ვ ი

საადღგომო ეპისტოლე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე	3
თენგიზ გუმბარიძე – რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „დავითის ხმალი“	13
ვახტანგ გურული – ილია ჭავჭავაძის მკვლელობა (I ნაწილი)	22
ეთერ ორმოცაძე-მახარაძე – ვასილ წერეთლის ერთი ნაშრომის შესახებ	51
თამთა შავიანიძე – თამაზ ბიბილურის მოთხრობის – „ნილაზი“ ძირითადი ასპექტები	60
ნინო ხახიაშვილი – ბელურები (ანა კალანდაძის ორი ლექსი)	70
ავტორთა მონაცემები	76

CONTENTS

EASTER EPISTLE of Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II	3
TENGIZ GUMBERIDZE - Revaz Inanishvili's story «The Sword of David»	21
VAKHTANG GURULI - Assassination of Ilia Chavchavadze (part one)	49
ETER ORMOTSADZE-MAKHARADZE - Towards one of Vasil Tsereteli's works	59
TAMTA SHAVIANIDZE - The main aspects of Tamaz Bibileuri's story "The Mask"	69
NINO KHAKHIASHVILI - Sparrows (two poems by Ana Kalandadze)	75
CONTRIBUTORS	77

ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ნაშრომის ელექტრონული ვერსია
წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე:
gelisakademia1@gmail.com

დამკავალდონებელი

შორენა ხუნდაძე

რედაქციის მისამართი:

ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა, №59.

ტელ.: რედაქტორის: 577 28-28-61;

პასუხისმგებელი მდივნის: 598 10-14-72.